

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კავკასია“
თბილისი 2020

საქართველოს მწვრალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლება-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუნძული ქართველი



კოლეგი ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ტობად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 51

2020



მთ. რედაქტორი

ბეჭა შალვაშვილი
პოეტი, მთარგმნელი, ივანე
მაჩაბლის სახელობის
პრემიის ლაურეატი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცერსალი”, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-858-8 (51 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის ამონდობა – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სმირნოვა-კოზლოვას მოწოდებული და „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტეულის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფოტო, რომელთაც ორიათასზე გათი კოეფილი მონილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელთაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჭავებელასა და გალაკტიოზ ტაბიდის არემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მარის ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზის საერთა-სამცნეო მარიამ არამარიანი კადემიის ვიცე-კონფერენციის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასიკური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი შვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა გაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოეჭმა ოქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ მიღროინდელი სამყაროს ოცდათოთხმეტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გველუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულაზ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი

„გულივან შესვები ყოველ შებას, ყოველ მაბებას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი რევაზ სირა-
ძე წერს: „ზეცისა და მიწის შემაერთებელი ადამია-
ნია, ადამიანი რომ არ იყოს ღმერთი ვერ ეზიარებო-
და ქვეუნიერებას და ქვეუნიერებას, არ იქნებოდა
შეცნობილი მსოფლიო საიდუმლოებანი. ადამიანი
რომ არ იყოს, დაუნახველი დარჩებოდა ამდენი სი-
ლამაზე ზეცისა და მიწისა.“

პოეტმა კარგად უწყის, რომ თავისთავადობით,
სულიერებითა და ზნესრულობით ნათელი ყოველივე
არსებულზე ზეაღმატებულია, ამიტომაა, რომ სიკე-
თისა და სილამაზის გამოსახატავად „მშვენიერება
ნათელია ზეცით მოსული, რომლით ნათდება ყოვე-
ლი გრძნობა, გული და სული“. (ნ. ბარათაშვილი)

მეცნიერი ნანა კუცია ნ. ბარათაშვილის ლექსის
„რად ჰყვედრი კაცსა“ ანალიზისას წერს: „მხოლოდ
მშვენიერ სულთა შორის იბადება მაღალი სიყვარუ-
ლი, სანუკარ გრძნობაზე, რომელსაც სილამაზით
სასუფეველიც კი არ აღემატება; „მას ცისა სხივით



აცისკროვნებს მშვენიერება და უპვდავებით აგვირ-გვინებს ჭეშმარიტება.“

და მაინც, „ქართველთა ღმერთი იყო მზე“. სიყ-ვარულის ძალაც მზიური ძალა“ (რევაზ სირაძე).

ვაჟა ეგრისელისათვის მზის ნათელით იწყება ყველაზე დიდი საოცრება ყოფნა. ასე გვამაღლებს ხოლმე. ეს მის პოეზიაშია ადამიანის ბუნების პარ-მონიულ მთლიანობაში წარმოდგენის უნარი, ცისა და მიწის კაგშირის დიდი გრძნობა, სიცოცხლის მშვენიერებისა და გრძნობების აპოთეოზი. პოეტი მზეს თავისი თვალთახედვით წარმოგვიდგენს:

„მეც მზის შვილი ვარ აიეტივით
თანაც მდიდარი,
თანაც ლარიბი
იქნებ მზემ ახლოს არ მიმიკაროს
როგორც იკაროსს...“

ვაჟა ეგრისელმა პოეზიის სამყარო შეისუნოქა, დაიმორჩილა პოეზიის გააზრებისა და განცდის ყვე-ლა მხატვრული ფორმა, მისი პოეზია ადამიანის საუ-კეთებო და უმდიდრეს თვისებათა ჭეშმარიტი, ჯე-რარნახული და არაგაგონილი განხორციელება. ფანტასტიკური ვაჟა ეგრისელთან ბუნებრივია, ისე-თივე, როგორც სინამდვილეს შეესატყვისება.



პოეტისათვის მზე პოეტური ენერგიაა და ძალაა, მას ეუფლება მთლიანი სამყაროს შეგრძნების დიადი სურვილი, მთელი არსებით გრძნობს თავისთავში ზეცას და მიწასაც არა გათიშულად და დაპირისპირებულად, არამედ ჰარმონიულ ერთიანობაში. მისი ლირიკული გმირი ქმნილებაა ბუნებისა, რომლის წიაღშიც ის სულს ითქვამს, მშვიდად ისვენებს და ნათლისკენ ისწრაფვის:

„მამლის ყივილით და მზის ძახილით,
ადიდებულა ცისკრის ნაპირი
და ნათელს მთები ვერ აკავებენ
დამე,
სივრცეში გაწოლილა გველეშაპივით
და ხახა საგსე აქეს
ვარსკვლავებით.“

მზე, მთვარე, ცა, ვარსკვლავები, მეტეორები – ყველაფერი ადამიანს უკავშირდება, მის სულიერ ბუნებას ესიტყვება, პოეტის განსაკუთრებული სიყვარული, შთაგონება. პოეტური დიდება დაკავშირებულია მზესთან, პოეტს იზიდავს ნათელი, მისი სული მარადისობისაკენ ისწრაფვის.

„მე ხელისგულზე მიდევს სამყარო,
მზის ენერგია ჩემშია და
არ ვარ უძლური.
ჩემმა ფიქრებმა შემოიარეს



დედამიწის ყველა კუთხე,
ყველა კუნჭული
რომ ოდნავ მაინც მოუშუმონ მოკვდავთ იარა.“

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ცა ოქროს ნაყოფითად დახუნძლული, მისი ყოფის მაღალი ბარძიმში მშობლიური ცის კამპამა ნამი ლიკლიკებს, იგი ვარსკვლავების თაიგულს წნავს, დამის სასახლეშიც თვალმარგალიტები ბრწყინავს, თავადაც მზადაა ცისარტყელუბის შვიდფერი თასით სივრცე დალიოს, რათა სტრიქონების გრძელი თოკებით მზესთან ავიდეს.

უნებურად რევაზ თვარაძე მასსენდება: „დ. გურამიშვილის მსოფლმხედველობაში ფაქტიურად წერტილი დაესვა აზროვნების იმ მიმართულებას, რომელიც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერის) მოღვრებაში იღებდა სათავეს. ამ მიმართულებასთან ცოტად თუ ბევრად მიახლოებული მერმინდელი მოაზროვნენი (ნ. ბარათაშვილი, ვაჟა ფშაველა) სხვა წყაროებით საზრდოობდნენ და აღნიშნულ ნაკადს უფრო ინტუიციურად ესწრაფვოდნენ, ვიდრე ცნობიერად.“

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ცნებები და ნათლის ესთეტიკა კვებავს ვაჟა ეგრისელს მდიდარ პოეტურ ფანტაზიას და საოცარ ბრწყინვალებას ანიჭებს. ნათელ შემთხვევაში სული ხომ საოცრად დიადიდა და მარად მბრწყინავი...



ვაჟა ეგრისელის ცა მკერდფიქალია ვითარც
ქალწული, რომელიც ოქროს ვარსკვლავებს მძივებად
ისხამს. თავად პოეტი კი უცხო პლანეტაა, რომელ-
საც ცა ფარულად ელოდება.

პოეტი ნათელმხილველის ჭეშმარიტ ალღოთი
ჭვრებს თავისი ცხოვრების დასასრულს და ზეცაში
დამკვიდრების უდიდესი ბედნიერებას, მას მართლაც
ხელეწიფება სთქვას ასეთი სტრიქონები: „შენ გადა-
ლახე რუბიკონი კალმის მახვილით, არა ომებით, და
ვით მეფეთა-მეფეებ გიორგიმ გარს შემოაწყვე ქორსა-
ტეველას ციხეს – მესამე ათასწლეულის, შენი ლექ-
სების ლეგიონები“.

ვაჟა ეგრისელის ლირიკული ლექსი პოეტური
ენერგიის მიზანმიმართულებაზე მიგვანიშნებს და უნ-
და ითქვას, რომ ქართული სიტყვის სიღრმისეული
ფლობა უჩვეულო, საოცარ, გამომსახველობას ანიჭებს
პოეტის რითმას; არაჩვეულებრივი და უსასრულოა მი-
სი პოეტური ხატოვანება, რომლის ფსკერში მბრწყინა-
ვი ზარდახშა სავსეა ახალ ახალი მარგალიტებით. დი-
დი წინაპრების მიერ მოტანილი სიმდიდრე კვებავს მის
ფეხვებს და ჩვენს ფიქრს აყენებს უდიდეს განზომილე-
ბათა წინაშე, სულითა და ხორცით გვამაღლებს იმ
შეცნობისათვის, საითაც თანამედროვე ადამიანის ფი-
ლოსოფიური აზრია მიპყრობილი.

„შვილები მყავს! –
მესმის ოხვრა.



უცხო მგოსნის ხმა მაჩერებს
ნაცხობივით,
თუმც ჩემს თანმხლებ ქართულ სიტყვას
მოსაგს ფიქრის
თეთრი ჩოხა —
აზრის ქილებ ჩაწყობილი.“

ვაჟა ეგრისელი თავის თავს მზის შვილს, ლაჟ-
ვარდის ძეს უწოდებს. მზეს მრავალი ფუნქცია აკის-
რია მის პოეზიაში და საკუთარი პოეტური გენის
ძლევამოსილებაში დარწმუნებული შთაგონების
ფრთით მიისწრაფვის ცისკენ და მუდმივად გრძნობს
მარადიულ სამყაროსთან იდუმალ კავშირს:

„გარდასულ საუბრნეთა
მოვარეზე ვშლიდი
იალქნებს
და მზეზე მედგა კარავი.
ის ხმები —
რაც მე მსმენია,
ჯერ არ სმენია არავის!“

ასე ვლინდება პოეტის ლირიკაში მზის კულტი
და ორეალური სინამდვილისაგან მოწყვეტილ სამაფ-
როში დანთქმის სურვილი.

პერსონიფიცირებული ოცნება მზესთან არის
დაკავშირებული შემდეგ სტრიქონებში:



„სავსე არის ჩემი ხმები
ქარიშხლის და
ზღვის ძახილით,
ჩემს თვალებში მზე დაირწა,
და ჩემს ფეხქვეშ ბალახივით
მდერის მთელი
დედამიწა.“

ვაჟა ეგრისელის მზე სასწაულია, იგი სიყვარულის ბაზმაა, რომელიც პოეტს მუდამ ეძახის. მისი მთელი პოეზია უმთავრესად სამყაროს პოეტური აღქმაა.

დიახ, მზე უნიკალური პოეტური თვისებებით აღბეჭდილი ხატია, რომელიც გნუსხავთ თავისი შინაარსით, მასში ჩადებული ჭეშმარტებით...

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში მაღალი იდეალები მზით გამოისახება, მზე, როგორც პოეტური ხატი, აქ თითქოს თავიდანაა აღმოჩენილი. მზე პოეტის შემოქმედებაში გარე სინამდვილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. სინათლის უდიდეს ეფექტს დაემყარა ბიბლია. კოსმიურ წყვდიადში გაჩნდა კოსმიური ნათელი და მშვენიერებაც ამის შემდეგ მოეფინა მსოფლიოს. ნათლით იწყება ყველაზე დიდი საოცრება – ყოფნა. კოსმიური სითბოც, სინათლეც.

და მაინც, სილამაზეა ვაჟა ეგრისელის პოეზიის თვისება, ენა მოქნილია, ძლიერი, როგორც ხმლის დაკვრა. მზის სხივების მწყობრ მსვლელობაში პოე-



ტი ისმენს სამყაროს ჰარმონიას. პოეტი მარადიული მზის ნათელითაა მოსილი. უხილავი და ხილული მისი პოეტური ხატები სამყაროს ათასფერადოვნებაზეა მიშუქებული, რასაც ამ ნაირფეროვნებიდან წარმოაჩნის:

„მზით შემოსილი ჩემი ფიქრები
არ იგარებენ დილის ცივ ნიავს,
და კლდიდან კლდეზე ხტიან არჩვებად...
ამ ციცქა ლექსებს
დრო ისე მიაქვთ,
სიკვდილისთვის წამიც
არ მრჩება“.

ჩემი დრმა რწმენით, ალბათ, მნელია ამაზე უფრო კარგად გამოხატო მზით შემოსილი პოეტის ფიქრები და განცდები. აკი ჭეშმარიტი ტალანტი თავისებურად აშენებს ხელოვნების უჩვეულო ტაძარს. რა მართებულად ბრძანებს ლევან სანიკიძე: ‘ქართლის ცხოვრებიდან თამარ მეფის ისტორიკოსის ლოგოსით რომ ვთქვათ: აბა, რამდენი ‘დალექსაობს მლექსავი ვინმე’: ან ვინ დათვალოს მწეროვანნი თუნდ დღევანდელი მწერ კავშირისა”!!!

მაგრამ მადლობა მას, დემიურგსა უზენაესს, – რამეთუ გყვანან პოეტები მისმიერნი, ზეგარდმოითა მადლით ცხებულნი.



სწორედ მათ ნაკადს განეკუთვნება პოეტი ვაჟა
ეგრისელი.

ყოველი ლექსით მაღალხელოვანი და მაღალაზ-
როვანი.“

ვაჟა ეგრისელის გრძნობა მზესთანაა წილნაყა-
რი, იგი აბსოლუტურად დაცლილია ბიწიერი ვნებე-
ბისაგან, მისი განცდა განწმენდილია და განსპეციაკე-
ბული. მზედ, ვარსკვლავად, პლანეტად, მეტეორად
მეოცნებეს დათაებრივი ნათელი ელვრება სულში და
ღმერთო, რა საოცრებაა როცა პოეტს აღმოხდება:

„ჩაუმქრალი შარავანდით
აღმოხდება მზე –
ქალწული
და ოქროს მხრებს ცად აწურავს,
მერე ბნელში დამენათევს
სამყაროს –
კვლავ მოჰყენს ნათელს.“

ვაჟა ეგრისელის პოეტური ფენომენი გარსმოჯა-
რული პოეტური სამყაროების რკალს იგერიებს, რა-
მეთუ დრმადაა დარწმუნებული თავისი წილი ქვეყ-
ნის, ახალი სამყაროს დაპყრობაში. ეს ხომ ზეცის
ბეჭდით დადასტურებული სინამდვილეა მისთვის შე-
უვალი და ნაღდი.



რუსთაველის, ილიას, გურამიშვილის, ვაჟას პო-
ეტური გენიისაგან გამოვლილი გზის შეხსენება ხში-
რადაა ფიქსირებული მის ლექსებში, მაგრამ ასევე
კატეგორიულია მისი განცხადებაც:

„მზეს და სინათლეს –
სივრცეს შევტირი
და ცაზე –
ვარსკვლავებს ვარისხებ.
დედაო ღვთისაო,
მეც ნათლისსევტივით
გმაღლდები მთვარისკენ...“

ან კიდევ:

„ლოცვით დაღლილი.
სტრიქონების თეთრი სანთლებით,
წმინდა ხატებთან დგება პოეტი
და ცის დუმილი –
მზის ამბორია.
– მეტი სინათლე! –
როგორც გოეთეს
სურს სიკედილის წინ,
ვითარც ცეცხლი და ქარბორია.“
ვაჟა ეგრისელის თითქმის ყველა ლექსში სადაც
მზის სიმბოლური ხატება ჩნდება ხმიანობს სამშობ-



ლოს სიყვარულის მარადისობის თემა, უფლისადმი მოწოდება და მარადისობისაკენ სწრაფვის დიდი სურვილი.

მზემ მთელი სამყარო შექმნა ვაჟა ეგრისელის პოეზიაში, მზე მხოლოდ კი არ ათბობს დედამიწას და დედამიწაც მხოლოდ სიხარულითა და ღიმილით კი არ ეგებება მას, არამედ ამ ღიმილშია მთელი პოეზია, იდუმალი ბრწყინვალება. პოეტისათვის როგორც ერთია მზე, ასევე ყოველივე ერთიანია ამ მზის – ქვეშეთში, რომელიც სიყვარულის „აშიკადაა“ მოვლენილი:

„ოქროს ცეცხლით ფრთებგაშლილი
აღმოსავლიდან –
დასავლით
და მაღრიბიდან – მაშრიფით,
მზე,
ცას სიყვარულს ასწავლის,
რადგან არს მისი აშიკი.“

მართებულად მიგვანიშნებს რევაზ სირაძე, როცა წერს:ადამიანს აქვს უნარი განიცადოს სულიერი ნათელი, ბრძან ჰომეროსი შინაგან ნათელს განიცდიდა, მას ხედავდა გონების თვალით“. ეს ნათელი „სულითა საცნაურია“, პლატონი ხილულ ნათელზედაც მსგავს რაიმეს ამბობდა: თვალს იმიტომ



ძალუძსო ნათელი, რომ თვალი თვითონა ჰგავს მზეს, თვალს თვითონაა აქვს თავისი ნათელი. ეს მისი შინაგანი უნარია. თუ თვალში არაა ნათელი, ის ვერა გრძნობს გარეგან სინათლეს. ასევე თუ სულში არაა ნათელი, ის ვერ გრძნობს სულიერ სინათლეს. სულიერი ნათელი ახლავს ხილულ ნათელსაც, მას მხოლოდ ზემხედველობა შეიგრძნობს.“

ვაჟა ეგრისელის პოეზიის საერთო კოლორიტია ადამიანის შინაგანი ხილამაზე, სულის სინათლე, ჰუმანურობა. მზის პოეზია, უბრალოდ ხელოვნება როდია, არამედ შინაგანი ცხოვრების საიდუმლოების გამოხატულებაცაა. მის პოეზიაში მზის ხატება ადამიანურ ნიშან-თვისებათა კატეგორიებშია წარმოდგენილი, ოდონდ ღვთაებრიობის წმინდა შუქით აღბეჭდილი:

„თენდება ისე უხმაუროდ,
ისე უბრალოდ,
მზე ამოდის თუ...
შენ ხარ უფალო.“

ვაჟა ეგრისელის ლირიკულ ლექსს, უდაბნოში გზააბნეული კაცის ჩვენებებივით უზარმაზარი მირაჟები ახლავს. რა მართებულად ბრძანებს თამაზ ჭილაძე: „ნამდვილი პოეტები უჩინარი გზებით აპოეტურებენ ჩვენს საგნებს და ყველა კარგად წაკითხული და გაგებული ლექსი ახალი საფეხურია ადამიანის



საერთო ცოდნის მწვერვალისაკენ. ამით გამოიხატება სწორედ პოეზიის შემეცნებითი ხასიათი.“

ვაჟა ეგრისელის პოეზია შემოქმედების მარადებაშის დაუკმაყოფილებელი უინითაა გაუდენთილი. მზის სასწაულით განცვიფრებული პოეტი გამუდმებით ახალ-ახალი სასწაულების მოლოდინით ცხოვრობს. ვაჟა ეგრისელის პოეზიის მთავარი თემა სამშობლოა და ყოველი ლექსი სამშობლოს განუმეორებელი მშვენიერებითაა შთაგონებული. სულჩადგმული ბუნება უდევს საფუძვლად მის პოეტურ სახეებსა და მეტაფორებს:

„ცას რომ შევხედავ,
გაიღვიძებს ჩემში
უფალი,
და სიხარული მდის ალაზნებად,
მზე მშობლიური ისე მათბობს
როგორც მათბობდა,
ვითარც ადრე მიიზლაზნება
ქედებზე სანთლებ დანოებული
ჯოგი მნათობთა.“

ვაჟა ეგრისელის ეთიგურ კოსმოსში მზესთან, მნათობთან, ცისარტყელასთან დაპირისპირებული სივრცეა დამე, უდაბნო, წყვდიადი, უკუნი. პოეტის მიზანი ვარსკვლავების ოქროს ბეჭდებით ცისკენ სწრა-



ფვაა, რამეთუ მისი იდეალია მზით, ვარსკვლავებით,
ზეცის ნათლით განათებული სული.

ცისქვეშეთი უფალს, ვარსკვლავეთს შესტირის
და თხოვს მარადიული კითხვის: „ყოფნა, არყოფნას,
საკითხავი აი რა არის?“ (შექსპირი) ახსნას:

„ცა თავს გვაწონებს ვარსკვლავების
ოქროს ბეჭდებით,
გაკრთება ელვა და იდუმალი
ისმის ჩურჩული.

სად ხარ უფალო!
შენ შემოგტირის ცისქვეშეთში
ბაგე მდუმარი,
ყოფნა არ ყოფნა, გზა უგზო
და კვალი უკვალო“.

და მაინც, უნდა ითქვას, რომ პოეტის ზიარება
კოსმიურ სამყაროსთან არასოდეს არაა მოწყვეტილი
ზნეობას, ვალდებულებებს, მედიტაციის სულს.

„ადამიანებს, კანონის გარდა, კიდევ სინდისიც
გააჩნიათ და სინდისის მოთხოვნილება უფრო დიდია,
ვიდრე მოთხოვნა სამოქალაქო კანონებისა... ჩემს
მოქმედებაში კანონის ნებართვას კი არ ვიმძღვარებ
წინ, არამედ სინდისის ბრძანებას ვასრულებ“ ბრძა-
ნებს ცნობილი მეცნიერი გურამ შარაძე. ეს სიტყვები
მოლიანად მიესადაგება ვაჟა ეგრისელს, რომლის



პოეზია სიმართლისა და სიკეთის ჭეშმარიტი დაღადისია.

ვაჟა ეგრისელი მებრძოლი ფანტაზიით სულ-დგმულობს და მთელი არსებით ცდილობს არ დაარღვიოს სამყაროს ჰარმონიულობა, ოფონდ თავად უნდა იყოს ამ სამყაროს ორომტრიალში. მისი სათქმულის ბუნებრიობა ნათელი, კაშკაშა ფერებითაა გამოკვებილი და ემოციურობით დამუხტული, იგი მკითხველის გულამდე ერთგვარი ინტიმით აღწევს და თავის ადგილს ოსტატურად იმკვიდრებს.

და მაინც, ჩემი ღრმა რწმენით, ერთ ყველაზე დამასასიათებელ თვისებად აღიქმება კონკრეტული დროის, სივრცისა და მოქმედების ანუ ქრინოტოპისა და თავად პოეტის მიმართებათა ერთად თავმოყრა, რაც გვაძლევს განსჯისა და განზოგადების საშუალებას და მსჯელობათა ინიციატივის გზით გარკვეულ დასკვნამდე მივდივართ:

„როცა ვერაფერს დაგაკლებს
წლები...

ო, მაშინ განრისხედებიან
ყოვლის მუსრავი საუკუნენი,
მაგრამ შენ თითსაც ვეღარ გახლებენ.
ასე ჩაივლის ათასწლეული...
ცაში ღმერთებთან დაესახლები
მიწად კი არა,
საქართველოს ზეცად ქცეული“.



ასე აშკარად ჩააქსოვა თავისი მამული შვილური
და მოქალაქეობრივი აღტყინება და მორალური სიწ-
მინდე, ზნეობრივი სიმაღლე, უსასრულო ოცნება სამ-
შობლოს გადარჩენისა...

ეროვნული სულის, ეროვნული ფესვების პოვნას,
საუკუნეთა დიდებული კავშირის საიდუმლოების ძიე-
ბას და ყოფნა-არყოფნის შექსპირისეული კითხვის
პასუხებე გაცემის გზას მთავარისაკენ მიჰყავს პოეტი
და პოეტური ფუნჯის მკვეთრი მონასმით იქმნება
წერიალა აკორდები პოეტურ პანზე, ოდესლაც გან-
ცდილი და ფანტაზიაში შემონახული რეალობად იქ-
ცევა მკითხველის თვალწინ.

„დამბას კი

არა

სიყვარულის ზღვარს გადავედი.

პარას ჭალაში ძეწნებმა კვლავ

მხრები აწურეს,

როს აქ დარჩენილ ბავშვობას ვუხმე.

ხობის წყალი კი

ტანს მიარწევს

კითარც ქალწული

და კრძალვით აჩენს

ტალღების თეთრ

და მაღალ მუხლებს.“



ამ ლექსში საოცარია ის პოეტური სასწაულმოქმედება, რომელიც სიყვარულით აერთებს ცალკეულ სახეებს, სურათებს, განცდებს, ფიქრებს სწორედ ესაა იდუმალი ხმა პოეზიისა, რომელიც მოკრძალებით შემოდის სულში და თავისი შინაგანი სიწმინდე და მდელვარება შემოაქვს.

ასე მგონია აქ, თითქოს ბავშვობის სანუკვარი სიზმრების ხორცშესხმა, მკითხველის მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი:


„ხობის წყალი კი
ტანს მიარწევს გითარც ქალწული“.

ციალა მუსხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – ხახჩაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



ორეზლები

ზღვის ღელვისგან გამორიყულთ,
თმა გაბურდგვნილთ,
ოდნავ შეშლილთ,
ფრენის ვნება მორეულებს;
მე, თბილისის –
ბულვარებში
ხშირად ვხვდები ორეზლებს.

1979

ალბათროსის და ფლამინგოს

მაშრიყიდან –

მაღრიბამდე,

რომ ისმოდეს დილა სისხამ

(ცამ და მიწამ რომ გაიგოს).

ლექსმა უნდა,

ოქროს ფრთები

გამოისხას,

ალბატროსის¹ და ფლამინგოს².

1989

¹ – ალბატროსი – (ფრანგ) – ზღვის დიდი ფრინველი

² – ფლამინგო – (პორტ) – წყლის დიდი ფრინველი



შვილი, შვილიშვილი აშრა

რაც რომ გადის დრო და ხანი,
ცისარტყელად გმოსავს პრანი¹,
და სამყარო ჩანს ედემად.
შვილი,
შვილფერი აურა,
თავს გებურვის დიადემად².

2015

¹ – პრანი – სასიცოცხლო ძალა

² – დიადემა – (ბერძ) – ძვირფასი ქვებით გაწყობილი თავსახვევი ან გვირგვინი – უზენაესი ქურუმების (მეფე-ების) ხელისუფლების ნიშანი



მბზაგრობა ასტრალური

საამოა ქარიშხელის
მსუბუქ ფრთებით მარადის,
გაქროლება –
ალური!
და უცხო პლანეტებზე –
მგზავრობა ასტრალური¹.

2009

¹ ასტრალური – (ლათ) – ვარსკვლავისებური, ცის სხვ-
ულებთან მისტიკურად დაკავშირებული



გალაქტიკა – დოლაბი

ცათა იქით –

ცის სიშორე

იქ, არყოფნის ქარიშხალმა

მიარბია...

მოარბია...

და ვხედავ ცას გულგაღედილს.

გალაქტიკა¹ –

დოლაბია

და ფქვავს მნათთა ოქროს ღერღილს.

1960

¹ გალაქტიკა – ასეულ მიღიარდობით ვარსკვლავითაა
“დასახლებული”.



ისმის მგოსნის ჩურჩული:

“არ-რა ყრია მოსვლაში,” –
ეს სიტყვები სიცოცხლეს
ფიქრთა მწევრებს მიუსევს...
გააქრეოლებს საფლავში –
ქართველ იღო მოსაშვილს
და ფრანგ ალფრედ მიუსევს.

1950



შავი არაბი

სალკლდებს შუა შავი არაბი,
მოჯადოქრობდა და
ცივ ნიავს არ იკარებდა.
მხრებზე ეყარა მნათთა არილი,
და...
ანანურის ციხის კარებთან –
მთვარე შემოგვხვდა
თამარ მეფის
სპასალარივით.

1963



პოეტებს მეცხრე ცის თაღზე
 უდგათ ოცნების კარავი,
 თუმც უჭირთ იმის გაგება –
 ფარვით თუ
 დაუფარავად,
 მათ რას უმზადებს განგება.

1959



უსაზღვრო და უსამანო
ცაში,
მზის ფრთებს რომ ვერ გაშლის.
რაღა ვუთხრა მე იმ პოეტს,
რომელიც აქ ყოფნის ზღვაში,
ნავსაყუდელს –
რომ ვერ პპოვებს.

2001



ზღვა ქარიშხლითაა მაძღარი
 და ღელვა არასდროს შივდება!
 შიშსა და სიბნელეს დავღავებს,
 და არ ისგენებს არც დღე და
 არც დამე...
 ვინა სოქვა ზღვის დამშვიდება.

1962



პოეზია

პომასა და ჰამოას,
რადგანაც ეზიარე,
მიტომაც გეწვენება საუკუნოდ
წამები.

შენთვის პოეზიაა –
ძველი საათაბაგო,
ოქროს საერისთავო
და დიადი სამეფო.

2012



နေ့ခုး ပာဇာနည်ပါဂ်၏ ပာရေ စာများ၏

ဒဲလာနျော်ရွေ့၊ အောင်၊
ဒိုက် ဖြူမြတ် နှင့်
ဒဲလာနျော်ရွေ့၊ အောင်၊
အရှင် မြန်မာတော် မာရွော...
မောင်္ဂလာဝါယာ ဂာလာနျော်ရွေ့ –
(ဒိုက် ဘုရား ဖြူမြတ် စာများ၏)
ဒဲလာနျော်ရွေ့၊ အောင်၊
မြန်မာတော် မာရွော...
ဗျာရွေ့၊ အောင်၊ မြန်မာတော် မာရွော...

1964




ოპერე და ფეთიდა

ქაოსიდან ამოსული
მთვარე ცას რომ დაეკიდა.
იმ დამიდან თუ
იმ დღიდან,
კოლხი თავის ღმერთად თვლიდა –
ოპერეს¹ და
ტეოდას².

1966

¹ ოპერე – ღმერთობა ღმერთი.

² ტეოდა – ქალდვთაქბა.



შაჟილში

ფშავ-ხევსურეთის ქედები,
 გვიქნევენ თოვლის მარაოს
 და...
 ლეგენდების საფქვავი,
 იქნებ,
 ჩვენს წისქვილს ეყოსა.
 “გვიამბე, ელიზბარაო,
 რა ამბავ მოხდა ეღოსა”...

1961



აღსდექ!

ამზევდი!

ძველო კოლხეთო!

შენს, მივიწყებულ იბერიას,

უნდა მოხედო!...

1960



0სეგ ბაგილონის გოდოლი

ზე-ცისაკენ უხმობდათ –

უფლის ნახვის სურვილი

(ცხადი იყო ყოველი.)

სანამ აერეოდათ ენები...

და მერე ავსულებმა,

ლეგენდებში შეფუთვნეს!!!

ბაბილონის შენება,

სხვას არავის!

ქალდეველებს ეპუთვნით.

1984



ხილვა: დემოკრიტე, ეპიკრე და რუნო

სამყაროს, ვით დროს და სივრცეს,
არც ბოლო აქვს,
არც საწყისი,
ღმერთი არა, ბუნებაა იქ მეუფე,
აი, ეს რომ არ გაეგო
გეისრის და მეფის ყურებს,
სულ ამაზე კანკალებდნენ:
დემოკრიტე,
ბრუნოცა¹ და
ეპიკრე.

1961

¹ ჯორდანო რუნო 1600 წელს ინგვიზიციამ ცოცხლად
დაწვა კოცონზე.



ወፍሮ

የወፍሮአቶስ ካፋልተዋናን ምድጋርዎ,
 ሆኖ ክፃል የሚከተሉ ስምምነት ተደርጓል፡፡
 የወፍሮ የሚገኘው ፈቃድ በመመሪያው ተደርጓል፡፡

1959



სიღიადე მხეატონის

“ფსალმუნების” ნათლის სვეტი,
ძველ კოლხეთის –
წყვდიადს ავსებს.
წარსულისკენ ეს ნახტომი,
არ ვიცი, რად მიამსგავსეს.
სიღიადეს ეხნატონის¹.

1991

¹ ამენობება IV (ეხნატონი) ეგვიპტის ფარაონი (ძვ.წ.
1370-1353.)



სული ჭირაპის

შოოო წარსულიდან გადმოხვეწილი,

ქარიშხალი თუ

სული წინაპრის,

პონტოს ტალღებში ისევ

აშარობს...

სურს: კოლხურ ცაზე ალბატროსივით

უზარმაზარი ფრთები

გაშალოს...

1960



შენ ხარ სამყარო

პლანეტები და გალაქტიკები –
მიღიარდობით გარსკვლავებით
დასახლებული,
ჰყვავის, ვით ტოტი იასამანის...
ერთ მშვენიერ დღეს
უნდა აყარო!
რადგანაც, ჩემო,
შენ ხარ სამყარო...
უსასრულო და
უსამანო.

1960



პა, “კოლხური ფსალმუნები!” –
 სიბრძნის ქვაზე,
 აზრის ლესვის,
 არ არსებობს სხვა სალარო.
 ხმალშემართულ –
 ქართულ ლექსის,
 დიდო ამირსპასალარო.

1994



გია დოლოროსა

ლოცვის ქვებით მოკირწყლული,
გოლგოთისკენ მიმავალი,
გზა მიეღის ბოლოს მგოსანს,
“ვია დოლოროსა”*

2001

* ვია დოლოროსა – ვნების (ტანჯვის გზა)



მისთვის,

როგორც პოეტის,

ცაა – წიგნი გაშლილი

და წერს ოქროს მზის ხელით.

განმკითხველი?! –

იცოცხლე!

მაგრამ არ ჰყავს მკითხველი!!!

2017



გარსკვლავები

დილამდე სულ იცინიან
დამეებს და ცივ სიშორეს...
(ზოგ-ზოგი კი თავს კვლავ ირცხვენს)
ვით უძლებენ ეს ქალწული
გარსკვლავები
ამდენ სინათლეს და სიცხეს?!*

1964

* ზოგი გარსკვლავისთვის ზედაპირული ტემპერატურა 2-3 ათას გრადუსს არ აღემატება. ზოგის კი 20-25 ათას გრადუსზე მეტია.



ხილვა: სიმონ პეტრიცელი

გოლგოთისკენ ჯვრის ზიდვაში
როგორ შველის ღმერთკაც
ქრისტეს.

ვხედავ: სიმონ პეტრიცელს.
და... მაღლდება ისიც –
ცისკენ,
მისი სულის ჭირიმე.

1960



ოპერე და პირბე

ზღვისკარად რომ დამდგარიყვნენ,
მთები,
ყოფნა დირდა ამად.

საქართველოს ცის დარაჯად
დგანან კავკასიის მთები,
ვით სიცოცხლე
და იძედი.

ოკეანე –
არის კოლხთა დმერთთა მამა!
და... კირკვ კი –
დედა გახლავთ აიეტის.

1965



შოთამშრი და პროანისი

კიდიდან-კიდით გაისმის
ყივილი შეუწყვეტელი
ვაჟას არწივის მართვეთა.
— წიწამური და კრწანისი —
არის “გოდების კედელი”,
ადამის მოდგმის ქართველთა.

1966



მეტაბალაძეთიპური

ზეცა უფლის სახლია,
მთვარის ვერცხლის აიგნით,
მნათოა ოქროს რიკულით.
სხვისთვის იქსი...

და შენთვის –
მეტაგალაქტიკური.¹

1964

¹ სამყაროს ის ნაწილი, რომელიც მისაწვდომია მოსახლეობად



ფიქრი ორიენტალისტთა¹,
 სხვა მითს არ იკარებდა
 (რაღაც ბლავილს ისმენდა
 ზღვიდან ოქროს გერძების).
 “ადამ კადმოს” – პირველ კაცს,
 “კავკასიის კარებთან”² –
 ძველ კოლხეთში ეძებდა.

1961

¹ – ორიენტალისტი (ლათ) აღმოსავლეთმცოდნე² – “კავკასიის კარებთან” – ნიკო მარი

მთათა საფეხურებით მავალს
ლმერთმა მოგხედა,
ალბათ “მიჯნურთა ცნება”
არის ამის მიზეზი.
მიხარია, რომ გხედავ –
ამაღლებულს და
მორჭმულს –
სათნოების კიბეზე.

2015



ბერთის* სახარება

ვინმე “ცოდვილ იორდანეს”
მინაწერი არშიაზე წიგნზე –
“ბერთის”:
“მართლად იტყვის მოციქული,
შიში შეიქს სიყვარულსა”,
რომელიც ჩემს –
“ფსალმუნს” ერთვის.

1973

* ბერთის სახარება – X ს.



ძეო ადამის

ქვეყნად სიცოცხლედ რადგან

მოხვედი,

ძეო ადამის! –

სულ იქნები...

არ დამარცხდები!

რადგან სამყარო უსამანოა,

“უსასრულო და


აურაცხელი”.

1964



ზღვიდან ამოდის ღრუბელი
და თმას გზადაგზა იჩეჩავს...
— უმაღურია გამჩენის!
მთვარე ცის თაღზე —
ისე ჩანს,
ვით ბორცვზე თოვლის ნარჩენი.

1960



შთაგონების არწივმა

მისი ყველა იმედი,

განიტაცა ზე-ცაში,

ისე,

ვით განიმედე!

საიდანლაც ხმა ისმის:

— ბედისწერას დანებდი!

ცა — გფარველობს თავისი

გრძედითა და განედით!

1967



0სეგ ლოდინი

ფაზისს დაჰურებს
დარდისაგან მოვარე –
სნეული
და მაინც ხვალის მოიმედეა.
თუმცა გავიდა –
სამზე მეტი ათასწლეული,
რაც რომ კოლხეთი –
ელის მედეას.

1960



ასი მზე

აღსავლიდან დიღ-დიღით,
მესმის ხმები საარის
და მზის იქით ასი მზეა.
მეც, ისე, ვით ასიზელი,
ვამბობ – გალაქტიკის იქით
მილიარდი ცა არის...

1960



ხილვა: ნაბჭელოდოსორი

ირგვლივ დამე მოქსოვა,

კიგილია...

და ზარი...

— ო, ეს ნაბუქ* ... ნოსორმა,

გაასწორა მიწასთან,

სოლომონის ტაძარი...

1968

* ნაბუქოდონოსორი — ეგვიპტის ფარაონი (ძვ. წ. 586 წ.)



N-ს

ჩემთ,
შენი “მგოსანი”,
ვინაც ზღვა ვერ ზიდა,
ნაღდი პოეზიიდან –
ისე,
ისე შორს არის,
ვით პლუტონი მზიდან.¹

2014

¹ პლუტონი – მზიდან ექვსი მილიარდი კილომეტრის
დაშორებით იმყოფება



0909სალიგში

ვუხმობ “გოდების კედელთან” –
 ბიბლიური “ფსალმუნებით”,
 აპოლონის სახილველად,
 დიდ პარნასზე რომ ავლენ:
 ჰალევსა და
 ჰანაგიდის,
 ორ ეზრას¹ და გებიროლს,
 ემანუელ რომაელს.

1983

¹ ორი ეზრა – იგულისხმება შუა საუკუნეების ორი დიდი ებრაული პოეტი: მოშე იბნ ეზრა და იბრაჟიმ იბნ ეზრა.



ელვა

ელვა არა,
სულია,
მზით ნაშობი ქართული,
რომ შოორეულ წარსულის
წყვდიადში რომ იურვის...
ალბათ იქ ეგულება
დედა: კოლხურ-ლაზურის –
ჭანურ –
იბერიულის.

1975



პომილიები

ცად აღუვლენ უფალს ლოცვას,
 რადგან სატანათა ჯარი,
 ბრძოლებით სულ მოვილიე.
 ეხლა ვზივარ –
 ბნელ სენაკში
 და ნათელს ვფენ პომილიებს.*

1999

* პომილიები – (ბერბ) ვსაუბრობ. სამღვდელო პირთა მო-
 ერ წარმოთქმული მოძღვრება-ქადაგებანი



ხილვა: როგაიები და სოდეტები

ხაიამის “რობაიებს”

ღვინის ცეცხლი უკიდიათ...

პეტრარკასა და

ვივალდის

“სონეტებს” კი შორით ვხედავ –

ჩასაქრობად მივარდნილს.

1963



ცოტნე დადიანის მეგლი ფოთში, სამეგრელოს მოედანზე

სულ მარტოდ მარტო,
ვითარც ეული,
დგას სამეგრელო შავი ზღვის
კარად
და ვედარ ირჩენს დარდს და
იარას,
რომელიც ტანზე
ურუანტლად უვლის.
და... სამეგრელოს მოედანზე
ცოტნე კი არა,
დგას საქართველოს უტეხი სული.

1996



60 000 000

შარბათივით ტკბილ ცხოვრებას,
გეღარ ჩავატანე გემო,
ვარ სიცოცხლით ხელშეკრული.
რადგან ჩემგან –
შორს ხარ, ჩემო,
როგორც მზისაგან – მერკური.¹

1959

¹ მერკური მზისაგან 60 მილიონი კილომეტრითაა დაშორებული



ალგორითმები

გწამდა უფლის ხატება,
 რადგან ჯვარცმას ელოდი.
 მიტომ იუდეველთა ცბიერ
 ომბორს ითმენდი.
 შენი ფიქრი სხვათა ფიქრს
 ასჯერ აღემატება.
 “კოლხური ფსალმუნები” –
 არის ალგორითმები!¹

1974

¹ ალგორითმები (ფრანგ) – რაიმე ამოცანის ამოსახსნე-ლად საჭირო მათემატიკურ მოქმედებათა ერთობლიობა.



ააღთავზი

მთვარის ბორცვზე დრუბლები
ირევიან შავ-თეთრად,
ვითა ცხვარი თეოზე
და დამეტს შენსავით ისევ
თეთრად ათევენ...
მთვარის ყდაში ჩასმული
შენი “იქმენ ნათელი!”¹ –
სიყვარულის და რწმენის
არის აპოთეოზი.²

2018

¹ – პოეტის ათასგვერდიანი ლირიკული ლექსების წიგნი

² – აპოთეოზი (ბერძ) გაღმერთება



შენი წიგნი დევოთა დიდი ქვაბია,
 ძველი არა,
 ახალი,
 სადაც მთვრალი დევების
 ისმის აყალ-მაყალი,
 რადგან სიძე არა ჩანს
 და არც მისი მაყარი.
 შეიძლება დევოთა სახლს
 პატივი რომ აყარეს.

1968



ნისლეული ადრომედას თანამარსკვლავები

ჩემო,

შენი “ფსალმუნები”,

ვითა ჰგვანან ანდრომედას ნისლეულებს

(იქაც... აქაც...)

გარდახვეწილთ დამის იქით...

მნათთა “ლაქად”, –

სიშორებს და გალაქტიკებს


მისეულებს.

1995



მწუხერის ქვაბში მზე ჩასული,
ვითა ბალდი, ელოდება
ზე აყვანას.
მაგრამ არრას ამბობს მათე
და არც ლუკა:
ხელში როდის აიტატებს:
“ზედა ყანა”,
“ქვედა ყანას”
და როდისდა ეშველება ამ ქვეყანას!!!

1964



ცეცხლითა ვარ მონათლული
არა მღვდლის ან
დიაკვნის.
დავემალო რომ მის თოლებს,
ერთს გთხოვ, ჩემო,
ზღვად მისროლე!
— მშვიოთვარე ზღვა მიაკვანებს.

2016



პოლს-ეგვიპ-ქასებათ

ჯერ როდის...

ძველ ათასწლეულთა

იქით...

ჟამს კოლხ-ეგვიპ-ქასების!

“ია” და “აიას” გვარ-ტომი

გვარტომობს.

და ჩემიც იქ არი...

ვაჟა ეგრისელი, ბატონო!

1988



ცევებსი VV”2

რვაასზე მეტი გაზაფხული
მიიღია, კითა ბინდი...
(ვერ დაუდო ჟამმა კვანტი).
მზე კი არა,
სულ გიგანტი* –
ვარსკვლავია რუსთაველი,
მილიონჯერ მზე დიდი.

1966

* გიგანტი ვარსკვლავები მოცულობით ათეულ მილიონ-ჯერ აღემატებიან მზეს, ხოლო – ცევებსი VV”2 – ვარსკვლავი მილიარდჯერ უფრო დიდია მზეზე



მძიმე ჯვარს კვლავ ეზიდები,
თავს გვირგვინი გადგას
ეკლის
და გოლგოთის იმ გზას მისდევ,
ორზე მეტი ათასი წლის –
წინ
რომ გაიარა ქრისტემ.

1964



ფიბენი

ვარსკვლავების არის ცვენა,
და მზე მალავს –
ოქროს გვირგვინს,
ღრუბლები კი ირევიან –
ცად ჰქვივით.
შორს,
მიუვალ მწვერვალზე ძევს
ფსალმუნთ “წიგნი
შეიდი ბეჭდით დაბეჭდილი”.

1991




ხოლვა: აქილეგი და დიონიზე

შოთარეული ნაშიერი

ხარ “აიას” და “ეასი”,
იბრძოდე და სძლიო ბინდებს.
და ვითა გმირ ენეასის
მტრებმა თავი ზედ დაგაკლეს.
აშ კერაფერს
კერ დაგაკლებს
კერც პელაზგი აქილევსი,
კერც ბერძენი დიომიდე.

1966



მზე და მთვარე

საუკუნე საუკუნეს,
და დღეები დღეებს
მისდევს –
ჟამთა ზღვას რომ ერთვიან
ბნელ სამყაროს ნათელს
რომ ჰყენს,
მზე –
უფლის ძე გახლავთ ქრისტე,
მთვარე – მამა დმერთია.

1962



0სეზ პოლიტიკი

რომ გიყვარდეს თვისტომი,
თვით უფალი გაკისრებს!
ქვეყნად მიტომ მოხვედი.

და...

როს წახვალ, კოლხეთი,
ვიცი —
მოგისაკლისებს.

2017



ჩე გოლა

ერთი და ორი კი არა,
სამასსამოცდახუთი დღის,
შენ ერთი დღე ხარ ნაკლული
ოქთორ მთაზე, ვით გოლგოთაზე,
უფლის “კრავი ხარ
დაკლული”.

2017



სამოთხე, ჯოჯოხეთი

საწუთო –

ჯოჯოხეთია: წვიმა,

თოვლი,

ქარ-ბორია,

მაგრამ, ჩემო!

ერთი გწამდეს:

სამოთხემდე გზა შორია,

ვითარც მზიდან –

პლუტონამდე.

1990

სამარადისოდ ბნელი ნათელით,
დამის წყვდიადი სანამ ინათებს!
მიმწუხერი ზეცას რიურაჟს ასწავლის...
ჩვენ,
თავს დამხობილ დღეებს
მივათრევთ, ლოკოკინას ნიუარასავით.

2017



ბეჭის ჭიშნი

მეხმა გაარღვია ცის კიდე,
 მეორედ მოსვლაა ქვეყნად –
 მოხეთქავს წვიმა და
 ოქეზი...
 “ბეჭის წიგნია”¹ თუ “კოლხური
 ფსალმუნები”,
 მამა ღმერთს რომ უჭირავს
 ხელში!

2011

¹ “ბეჭის წიგნი” – “აპოკალიფსი და დღევანდელობა” – (11,408).

ჩე გოლა, მთაწმინდა

წუხილის და სიხარულის –
ყვავილობენ ცად ბაღები,
დამეები არ ილევა...
ჩე გოლაა¹ – ოქონი,
როგორც ამაღლება,
მთაწმინდა კი არის შენი გალილეა.²

1981

¹ – ჩე გოლა – ოქონი მთა

² – გალილეა – ქრისტეს ამაღლების შემდეგ მოწაფებ-
თან შეხვედრის ადგილი



მყინვარი

დამით მხრებზე აცვივა
 მნათთა ოქროს ნაფშვნევი,
 თერგის გრგვინვა მოესმის,
 ვითა ხმა ავთანდილის.
 ქალწულ მყინვარს ამშვენებს,
 მთვარის თეთრი საყურე,
 ყინვის ბროლის მძივები
 და სიცივის მანდილი.

1961



უცხო მატერიალი

პლანეტები კომეტებს
სიშორის და
სინათლის
წლებს კვლავ ათელინებენ...
და... სამყარო სავსეა
უცხო მატერიალით.

1966



თეთრი საფლავი

ძველ კოლხეთის მგალობელს...

(ვით ხელმწიფე ან მარეს¹,

მზის ხსოვნაში დამფლავენ!)

ჩე გოლაზე – თეთრ მთაზე

გამითხარეთ სამარე,

რომ ერთადერთს,

ვით პოეტს,

მქონდეს თეთრი საფლავი!

2017

¹ – ან მარე – ((ვის ქავი)) კოლხეთ-ქიმეთის (ეგვიპტე) ხელმწიფე (5185-5120 წწ.).



მოვალთ ტირილით...

შეკრულ მუჭებით...

რომ ყოფნის ველზე დავცეთ კარავი

და მიუწვდომელ ზე-ცის კამარას,

ვით დედის კალთას

ვეძღაუჭებით

და... დამით ვავსებო

დღეთა სამარეს!

2016



გრაალის ერთგული რაიონი

სფეროებს

და პლანეტებს,

ვით მეზობლებს

შეუკლი

და სამყაროს აალებ.

ცის ბინადარს ქვეყნად მეტი

რა გინდა.

ხუთი ათასწლეულის

მერეც რჩები

გრაალის –

ერთგულ მცველად

და ერთადერთ რაინდად.

2017



ორი იორანე

(ვარიანტი)

ათასეული წლის მერე,
სანთლებს ლოცვად აუნთებენ
და ცოდვილ სულს –
მათ მისცემენ –
ორ ბრძენთაბრძენ იორანეს:
ერთს –
ლვთისმეტყველს
და მეორეს – ნათლისმცემელს.

1967



პირველი მერცხალი

გაზაფხულის წვიმები
სოფლის შარას რეცხავენ...
ადრე მოფრენილი
ისმის ტკბილი ქლურტული...
და ბოძმა ბოძს –
მერცხალი,
ესროლა, ვით შურდული.

1958



ლტოლვა

დამის იქით მოსცურავ,
“ბრასითა” და
“მხარულით”,
მზისკენ მარად იურვი,
რომ იხილო ფარული
წამში მარადიული.


2017



“ნუ განმაშორებ საფარველსა შენსა”

კოგელდღიური ლოცვა
 განთიადის ფეხისხმას
 ვარსკვლავები შიშობენ,
 ბნელი ნათლით დაფარეს...
 და ქათქათა ღრუბელი
 მივამსგავსე
 ღვთისმშობლის –
 მარიამის საფარველს.

1967



ხსოვნის პარადიგმები

აქ ჯვრები და ლოდები
ერთმანეთის მსგავსია
და, სიკვდილო, დარაჯად
კართან მარად იდგები.
სასაფლაო საგსეა –
ხსოვნის პარადიგმებით.

1960



სამება

უშბას,
შხარას
და თეონულდს,
ვით ტყუპისცალ სამ ტიტანს,
საქართველოს ზეცისოვის
ქვე-შეუდგამთ მხარ-ბეჭი!
და შენ ნუ დაეჭვდები,
რომ წიგნს, შვიდგზის დაბეჭდილს,
შენ ახსენი შვიდივე
საიდუმლო ბეჭედი.

1993




გოლებ ხალიბთა მოდგმა ხარ,
კაცი რკინის მქვნეტელი
და სიყვარულს “მყეფარი”!
უხილავად...
“შეფარვით” –
“ფარდის მიღმა მჯგრეტელი”.

1977



ზღვა კოშკია გრაალის,
 სად ანთია სხვა ცეცხლი
 და აუდის სხვა ალი.
 ...ბრუნავს ჟამთა მორევი,
 ეხეთქება ცის კიდეს...
 საშიშია ორივე,
 ზღვის ღელვაც და...
 სიმშვიდე.

1979



სხვაა სიბრძნე ფარული,
ის ხილვები,
ის აურა,
იქ სხვა ცეცხლი ტრიალებს,
შენც,
ვით ტერტულიანგ,
ლაპარაკობ იგავურად.

1969



მეცხრე ციდან მოსული
 ღელვა ადარ ილევა
 იმ ზღვისა და
 ამ მთისა.
 წყვდიადში რომ იელვა –
 “სანოელია ნათლისა”*.

1971

* “ნებმირებული ძლისპირნი” (გვ. 323)



შამბალა და ჩე გოლა

დღისით მზე და დამით კი
იღუმალი მთიები
თავზე ლოცვად ადნება...
(შენ კი შორი გეგონა!)

ეხლა შენში ბინადრობს:
ამირანტის შავი მთა,
ჰიმალაი,
ანდები,
შამბალა და ჩე გოლა.

1971



ყოფნა რაა!

არყოფნა კი,
ლეგენდად და გიჩანს მითად!
ცვივა წლები ხეს საქსაულს.
და მოელი სიკვდილს
ვითა,
უდიადეს დღესასწაულს.

2017



ფრთას შეასხამს განგება
შენს მზით მოსილ განზრახულს,
და ლოდინში დღეები
არ იქნა, არ იღევა...
და ვით ალიგიერი,
ელი სულისმილევით
“მარადიულ გაზაფხულს”.

2017



დაცილი,
მსაია,
ზაქარია

უფლისაგან ხელდასხმულნი,
რომ ხედავდნენ
სატანათა ნაშიერებს,
ისევ ჩვენთან, აქ არიან:
იოანე ღვთისმეტყველი,
დანიელი,
ესაია,
ზაქარია.

1968



ათასეულ წლის მერე,
ბნელი სათოფურიდან –
მიტოვებულ ციხეთა
თვალდათხრილი წარსული –
ჩუმად გამოიხედავს!

1969



შენთვის სიბრძნის მოსახვეჭად,
 შენმა ზესთა მფარველებმა,
 დღეებსა და
 სდიონ დამეს
 და ვითარცა იოანეს,
 “წიგნი უნდა შეგაჭამონ*”.

1973

* (გამოცხადება 10, 3-1)



პტოლომესიანი

დღე ერთია,
მაგრამ შენ,
სფეროებს და პლანეტებს,
ასჯერ მაინც შეუვლი,
სადაც სული ბინადრობს –
პტოლომესეული*.

1964



ՊՕԶԻԾ

Յօևէլլամշտոմո ցաղանքյլո –
յրազո,
յրջո და “Յեռցարո”,
րոմյլոտ թյուամ შոմրծե ըյլո.
Վոցնո – ցակալացտ ღզուսմժոծյլո,
და სոტյցա ձո –
մայեռցարո.

1970



აღუვლენდა უფალს ლოცვას,
მასთან ერთად მცირე აჯას.
ეშმა რწმენას უბარავდა!
მაინც ქართველს ჰქონდა აბჯრად
სიყვარული
და იმედი –
სულ ეხურა მუზარადად.

1966



ბრძენი იდუმალების
დამის ჭიშკარს აღებენ,
რწმენის ცაზე რომ ავლენ,
იქ დახვდებათ ზაფხულის
მოყვავილე ბაღები,
რაც უყვარდა დგომისმოსაგ
იპოლიტე რომაელს!

1992



მნათთა სისხლით დაწინწკლული,
გაიელვებს ცად მერდინი,
წელი გადის ასჯერ ასი.
ის “დვინოა¹ დაწმენდილი”,
შენ –
პირთამდე სავსე თასი².

1974

¹ – დვინო – ქრისტე

² – თასი – მარიამი (ესაია წინასწარმეტყველი (თ.25,6 (5,91)



პოლევთი

ათასწლობით ნაშენები –
რწმენის კირით და
აგურით,
წარსულია –
მომავალი.
პონტოს ზღვისკარად დარგული,
ვენახია რტომრავალი.

1960



ოცდაათტომეული

ოქროს თითით წიგნს ფურცლავ და
სიტყვას ესალბუნები,
კოცნი ცრემლმორეული...
ცას წეს “კოლხურ ფსალმუნების”
ოცდაათტომეული.

2017



ვარსკვლავების ოქროს მარცვალს
მთელი დამე ფქვავდა მთვარის
გელაზი

და დილით კი სიხარულმა

იელვა:

– შენც ნაძვის ხე დარგე მთათა

მწვერვალზე,
ისე,
ვითა ბრძენმა ეზიკიელმა.

2016



ჰელიოსის ნაშიერი,
ელტვი ცას და
არა ხაროს –
ძველ კოლხივით და ხეთივით.
და შენს ბაღში ორივ ხარობს:
“ხე – დიადი¹”
და “ხე – ტპბილი²”.

1960

1,2 – (“ძველი იადგარი” – გვ. 439)



პერ ადამის

იქნებ მზემ ახლოს არ მიგიპაროს,
 ვითა იკარო,
 და შეემატო დღეებს ნისლიანს!
 მაგრამ შენ იცი, ძეო ადამის,
 ომების არა,
 ეს დედამიწა –
 მშვიდობის საბრძანისია!

1963



ჭარჭერა ლოდზე

ახლა აქ ვარ!

სად მეუფობს

სიჩუმე და სიმარტოვე,

მფარავს დავიწყების ხავსი.

არ ვიყავი მე ხომ ნოე,

რომ მეცოცხლა წელი

(ცხრა) ასი...

1964



შოთარეული ხმა გესმოდა –
ძველ კოლხების
და ინკების,
რაც გიშვავდა სულს, ვით ლავა!
ჩამოსულს ცის ბილიკებით
და ზღვის ზედაპირზე
მავალს...

1966



მნათთა სასახლეებს შორის,
მოვარე მოჩანს,
კით მიწური.
გული უწვრილდება ლოდინს.
ორიათასი მიიწურა,
რაც მაღალ მთას¹ –
მოწყდა ლოდი².

2001

¹ 1,2 – მთა – წმინდა მარიამის სიმბოლოა, ლოდი – ქრისტეს (ტ. მოსია, “საღვთისმშობლო სახისმეტყველება”, გვ. 98)



ორი ველი

ერთში ქართვლის სული გოდებს,
და მეორე “ვაშას” ელის,
ქართველებმა მათ უწოდეს:
დიდგორს –
ველი გამარჯვების,
და კრწანისს კი –
“გლოვის ველი” (ფს. 64, 65)

1971



თურმე ძნელი ყოფილა –
ცხრა მთის,
ცხრა ზღვის
გადაღმა,
უფლის გადამალული –
სიბრძნის მარცვლის მიგნება,
მაგრამ შენ მიაგენი –
ვარსკვლავებით ნაწერი,
მზის და მთვარის
წიგნებით!

2017



“კოლხურ ფსალმუნებს” ელის,
 უამთა მემატიანე,
 მთვარისა და მზის იქით,
 რადგან მასში ტრიალებს:
 სიბრძნე მათემატიკის
 და რწმენა კი – მისტიკის.

1994



კიდით-კიდე ეყარა
მნათთა ოქროს მარცვალი
და ცის მწვანე მინდორი
იყო ზღაპრად გაშლილი,
როგორც საოქს-სახნავი.
მერე, როცა გემბანზე
მთვარის ანძა დაირწა,
ნისლეულში მზე იწვა,
როგორც მზეთუნახავი.

1958



ოუ ისურვა,
 უფლის რწმენა,
 ცაში მნათებს დაატყვევებს!
 ოურაშაულს აქცევს პანტად.
 “წარმოგზავნის თოვლს
 მატყლივით”
 და “თრთვილს ფერფლად
 მიმოფანტაგს²”.

1970

1,2 – ფსელმუნი 147,5,6



ჩე გოლა და ანდები

დღე-ნიადაგ როგორც მენდექს¹,
ეძებ სული “განსაწმენდელს”,
და... კვლავ უცხო ადის ალი
მთებს და...
ლოცვად ადნება –
შამბალას და ჰიმალაის,
ჩე გოლას² და
ანდების.

1986

¹ფრანცის მენდექსი – ფრანგი პოეტი

²ჩე გოლა (მეგრ.) – ოკთორი მთა (სამეგრელოშია).



ასტროფალი

ვითარცა ზევსეს¹ (პონტოს პირას),
 თხის რძე მზრდიდა
 და ურიდან გამომყვა,
 რომ სიცოცხლით ვიყო მთვრალი...
 და ლექსები აზრის რძიდან –
 მთვარესავით კვლავ ამომყავს
 და მიყვარს ასტროფალი².

2001

¹ ზევსი (ბერძ) – ღმერთთა და კაცოა ღვთაება.

² ასტროფალი (იიზ.) – ლექსი, რომელიც სტროფად არ არის დაყოფილი.



მზე ქალდეული

სხვებმა იკითხონ, თორემ...

შენ კი, შორზე შოორეულ

წარსულიდან მოხვედი,

სად ქარი და ქაოსი მეუფოდა!

კელური,

მხოლოდ მზე ქალდეული –

ძლივს აღწევდა მიწამდე –

აგვისტოს და კოლხეთის!

1980



ზიქსუდრა და აღამგაღმოსი

შოთორეული წარსულიდან
 ისევ ისე ისმის “ლილე¹”...
 მიწიერმა ვინ,
 რა კადროს –
 ციდან მხსნელად მოვლენილებს –
 ზიქსუდრას² და
 ადამკადმოსს³.

1976

¹ ლილე – უუძველესი სვანური (შუმერული – “ენ-ლილ”) პიმნი, უზენაესი დგიავბა “ლილესადმი” აღვლენილი.

² ზიქსუდრა – ბიბლიამდელი ნოვ.

³ ადამ კოდმოსი – ხეციური ადამი.



ხათების და ხეთების

ყოფნის ციცქნა სარგმლიდან,
მე არყოფნას გუჭვრეტდი,
რომ მენახა ხეტება –
ქვეყნად მზე გადასულთა:
ხათების და
ხეთების:
მიდიელთა...
შუმერთა...
ქალდეველთა...
ასურთა!

1982



მამულო ჩემო

მეც უკვდავების წყაროს დავეძებ,

ვითა ენქიდუ

და გილგამეში

და რაც დრო გადის,

პოვნის ჟინი უფრო

იზრდება!..

მამულო ჩემო!-

სიყვარულით –

შენით გალეშილს,

არ მიწერია გამოფხიზლება!

1959



“ტანკა”,

“ხოკუ”,

“რობაია”...

ათას რამეს იგონებენ –

პოეზიის მსახურნი!

მაგრამ შენი სტრიქონები –

ძველ კოლხური ისრებია –

აზრით

წვერწამახული.

1977



ეგაბრეს და ორიგინს

სულიშმინდის მგმობელთა,
 სული კუპრში
 ტრიალებს...
 ვეღარ შველის უფალი
 და ვერც ღმერთი მორიგე:
 (საწყალ ერებიკოსებს,
 ვინც თავს სიბრძნეს
 იკოსებს!)
 დიდიმს¹,
 ტერტულიანეს,
 ევაგრეს² და ორიგენს.

1970

¹ დიდიმე ალექსანდრიტი.

² ევაგრე პრინტიელი.

მარტყოფის და მარაბდის

უფლის მადლით გარემოსილთ –

მოწყალებით დასცქეროდათ

მუდამ ზეცა –

გმირ ვაუკაცებს მარტყოფის და

მარაბდის.

ქართველთ რწმენა –

აბჯრად ქცეათ

და ეხურათ სიყვარულის მუზარადი.


1965



ნუ გაოცდები

შენ გაცდი მიწის მერიდიანებს
და გალავს სურვილი
ცათა მეველის,
“არაქაური” და სხვა ოცნების,
და, ჩემო,
მაშინ,
ნუ გაოცდები,
როცა იხილო ცაში ღმერთთა
სასუფეველი.

1987



ვრთები ძალმოსილების

უნდა გესაფეხუროს
მაღალ მთათა ქანები...
ზეცა უნდა გეხუროს
მზით ნაქსოვი ფილების*,
სადაც მიგაქანებენ
ფრთები –
ძალმოსილების.

1975

* ფილე (ფრანგ.) – ბადეზე ნაქარგი, ბადისებური ნაქსოვი.



სიხარული

წვიმა არა,
შემომქმედს,
სიხარული სდის ოფლად,
თვალი რომ აუხილა —
ამ სოფლად და
იმ სოფლად,
ხილულსა და უხილავს.

1986



პომეროსი

თვით ბრძა პომეროსი კი,
იყო უფლის ნათლული
და სწამდა ამონები*.
ისიც, ვით სხვა ციური
ნიჭის უსინათლონი
ჭვრებდა თვალით –
გონების.

1977

* ამონი – ძველ ეგვიპტულთა ღვთაება (XXI ბერ. ა.)



“ვიძრები”

(მინაწერი მარტუს ავრელიუსის წიგნზე)

მწუხარი მეძებრებივით –

ცას ვარსკვლავებს მიუსევს.

დარღისფერი მთვარე კი

თვალ და ხელშეუა გიქრება.

და შენც ავრელიუსის

მტანჯავენ კვლავ “ფიქრები”.

2006



ქარიტები

ვარსკვლავების ერიამული

და ტკარცალი ქარიტების*,

ამშვიდებენ ზღვას –

მდელვარეს.

მთები თვალებს არიდებენ –

სხივთა შენთა სიელვარეს.

1978

* ქარიტები (ბერძ.) – სილამაზისა და მხიარულების სამი ქალიშვილი.



მარადისობა

მირიადი წელია

ანათებს და მზე იწვის...

მაგრამ “უამი უუამო”.

ვერასოდეს ჩაძრობს

დანტეს – “წმინდა ნათელს” და...

ვერცა “უდამო ნათელს” –

იოანე პეტრიშვილის.

1998



მეცამათე ცა

მოლოდინში სინათლის,

კჰ,

რამდენხანს იცდიდა!

მიდიოდა წყვდიადში

და გზას აღარ უხვევდა.

მან რომ ნახა იმ ციდან,

მშობლიური მიწისთვის

არვის ჩამოუხედავს.

1968



ნათელი

ქალდეველთა მოდგმა ხარ
 და სახელი შენი მზის,
 ნეტავ,
 ვის გავურითმო!
 რადგან, ვით აპოლონი,
 ხარ ნათელი უნივერს.

1990



გიოვალთვალებს შორიდან –

ურიცხვი და

ულევი,

თვალი შურისძიების!

გულს გასხია წყლულები,

ვითარცა ცას მთიები.

1995



ხილგა: აქილევსი და პარისი

(ვარიანტი)

სამიათასი წლის მიღმიდან –

ფარსჩაბდუჭულს გჰვრებ

აქილევსს¹,

და ისარიც გაილვებს იქ პარისის².

იმოსავენ ტანზე ჩრდილებს:

ალვა,

პალმა,

კიპარისი.

1989

¹ აქილევსი (ბერძ. მითოლ.) – ბერძენთა უმამაცესი გმორი, რომელიც მონაწილეობდა ტროის აღებაში.

² პარისი (ბერძ.) – ტროის მეფე არიამეს შვილი, რომელმაც აქილევსი ისრით ქუსლში სასიკვდილოდ დაჭრა.



სოდომი და გომორა

ცა ხანდისხან რომ აჩენს,
ზამთრის მთვარე კი არა,
სპილოს თეთრი ეშვია,
ერთი არა,
ორ-ორი.
ჯოჯოხეთში არადა,
უფრო სამოთხეშია,
სოდომიც და
გომორიც.

1985



ჩემი გზა

ხელაპყრობილ სანთლებით –
ლოცვის –
ღმერთან
გაგზავნა,
ცად მამალლებს მე უფრო.
ჩემი გზა კი,
სხვა გზაა,
გზა არის სამუშავო.

1976



შ0შ0

გეშინოდა, რომ შენი ცა,
დარდს და ცრემლებს
სულ იწვიმდა...
მაგრამ... მაინც გადიდარა,
და კოლხთა მზე დაგანათლა –
მამა,
ძემ და სულიწმინდამ.

1996



შროშასთან

დასავლეთისკენ მავალნი,
მცირე აღმართს რომ შევებით,
გზის პირას წამოშლილები –
დაგვიხდა ქვევრთა –
დევები,
შვილებით,
შვილიშვილებით.

1983



საპუთარი ცა

მოღრუბლულია ჩემი ცის ჭერი,
საიდანდაც ხმა ისმის გოდების –
მზე დამიკორტნეს შურის
ყვავებმა!!!
ო, არა უშავს...
კბლავ ველოდები,
მე, საკუთარი ცის აყვავებას.

1984



იხარშება ეშმას სული,
 სად კუპრი დუდს საშინელი...
 შენ კი, ჩემო,
 სულ იარე...
 რადგან სიბრძნე სული არის,
 ისე,
 როგორც საფშვინელი.

1987



მწუხრი გადაიქროლა
ელვამ –
ცეცხლის ფრინველმა.
შენ კი დამეს ეცისკრე!
მიუყვები ზე-ცისკენ
“სათნოებათა კიბეს” –
უფლის მოსახილველად.

1997



ვხედავ:

ურჯულო და ავაზაკი,
დღეს “ქართველობას” ჩუმად
იფერებს,
ხვალ, ალბათ უფრო მეტს
მოინდომებს,
სახეზე მიტომ ადევს მგლისფერი –
ჩემი სამშობლოს
მთებს და მინდორ-ველს.

1975



ქრისტეს ნათლული

გმენის,

ქრისტეს ნათლულის –

ამირანის მხარ-ბეჭი...

შენ გრაალის ოქროს თასით,

შვიდ,

შვიდ საიდუმლოს ახსნი

წიგნს, შვიდიგზის დაბეჭდილს.

1986



ამქვეყნიურ სამოთხეში

ყოფნა,

მე შენს გამო მწყინდა,

ადრე ასე რომ მიყვარდა!

ახლა სხივი გამობრწყინდა

და მზეც ამომიელდარდა.

2007



მეორე სახარება

ცა თუ ძირს არ ჩამოიქცა!

ისე,

ჩემი გახარება!

რომ “კოლხური ფსალმუნები” –

სამაგიდო წიგნად

იქცეს

და მეორე სახარებად.

1993



დათოვლილი თმით და წვერით,
დგას მყინვარი,

როგორც მოსე,

ელვა, თვალთა კრთომა თუა.

შორს,


ჩანს მთვარის –

ციცქნა ყუა,

მზე –

დილას შუბლს უსხივოსნებს.

1975



მოვარის მწვანე კონცხიდან –

გესმის შაშვის გალობა

და ჭიქჭიკი მერცხლისა,

ყარიბო...

და ეულო –

“ხარ სუდარი ცეცხლისა” (ი.

მტბევარი).

და “ცეცხლი უსხეველო”. (ი. მინჩხი).

1968



ღამე თეთრად ნათევი –

ზეცა ცისარტყელებმა

ათასფერად დახაზეს,

და დაადგა ნათელი –

“ძველ დღესა” და

“ახალ გზეს”.

1981



(ვარიანტი)

ქარი პკიოდა აშარი
და ჩვენ შროშასთან ქვევრების
ჯარი დაგვიხდა უცვლელი,
ისე, ვით დევთა ლაშქარი,
გამობერილი მუცლებით.

1956



ქარიშხლის ქარეტით
ზღვა მოდგა ნაპირთან –
თავი დაუკრა მიწას
და... სიმშვიდე –
დაპირდა.

1999



რადგან უფლის ნათლულია,
რწმენითაა კვლავ ავად იხ.
და ამიტომ ეშინია –
მას სიკვდილის მოპარვისა.
თუმც სარკმელთან ჩანს
თავადი –
ცისკენ მზირალ კიპარისად.

1965



ရှာခေ ဆတာဆဝါ

သာမတအရှင်ဝါ...

ဇန် ပြုဂျာ၊
ဂဒိုးမြောင်း ကျော်းမြောင်း –
ဇန် ပြုဂျာ၊
အလွန် ဇန် ပြုဂျာ၊
အလွန် ဇန် ပြုဂျာ –
အလွန် ဇန် ပြုဂျာ၊
အလွန် ဇန် ပြုဂျာ –
အလွန် ဇန် ပြုဂျာ.

1972



აპა, ფიგნი “ფსალმუნების”

ზეცისკენ ხელთაპყრობილს –
ცეცხლს კვლავ მივესალბუნები...
არ ანათებს,
რაც არ იწვის!

აპა,

წიგნი “ფსალმუნების”,
ვით ნადავლი ცის და
მიწის.

1977



ხილვა: ორი ნათელი

ამქვეყნიურ ქაოსში –

ბრუნავს ქამთა მორევი,

მიწას თითს ვერ ადებენ!

მე ნათელს ვჭვრეტ ორივეს:

“ხილულსა” და “უჟამოს”,

ანუ “დაუბადებელს”.

1986



მამა, მე და სულიომინდა

ლოცვით ათას დამე ნათევს –

გეგონა ცის სული წვიმდა,

მაინც ჭვრეტდი “იქმენ ნათელს!” –

მამად...

და ძედ – “ამაღლებას²”,

“ფსალმუნებს³”-კი სულიწმინდად.

1992

1, 2, 3 – პოეტის სქელტანიანი წიგნები.



პოეზიის წარღვნაა და...
ისმის ოხვრა და
გოდება...
და იმედის არ ჩანს აბი!
გადარჩება –
ვინც გვირაბის
ბოლოს ნათელს ელოდება.


1986



ვიქრთა ჭიბნები

ამქვეყნიურ წევდიადში
გზას,
კვლავ ვეღარ იგნებენ,
ცოდვა-ბრალად დაყოფილს,
შენი ფიქრთა წიგნები –
ყოფნისა და
არყოფნის.

1988



ღამის შავი ოკეანე

გადმოცურა მზემ მხარულით.

და დღე შენთვის გაიმეტა:

მოგიგზავნა სიყვარული –

ლუციფერად * და

შიშის სვეტად.

1979

* ლუციფერი (ლათ.) ჯოჯოხეთის მბრძანებელი.



0სე, 2001 გილგამეში

მიგიძლოდა ნათელი —

დიად მეკვლედ წყვდიადში

და ცა გედგა თვალებში...

“მზიან ღამეს” ეძებდი,

ისე, ვით გილგამეში,

და ვით ეპლესიასტე.

1995



ბაზი

შენი ბაღი —

მზის სწორფერი,

ვით სემირას და

აშურის.

სავსე ოქროს ნაყოფებით —

“ნარდიონით და

ქოფერით”,

მაგრამ ჩემთვის კარდახშული.

1986



0სეპ მოლოდინი

მიიღია მეორე –

დიდი ათასწლეული,

და შეჰყურებს ცას მიწა –

შიშითა და...

ხალისით.

და მოელის წამი-წამ –

მხედარს აპოკალიფსის*.

1999

* აპოკალიფსი (ბერძ.) – გამოცხადება. (წიგნი, რომელიც შეიცავს მისტიკურ წინასწარმეტყველებას ქვეყნის დასახულზე)

ქურდები

ერთი გვერდი სამყარო,
 და უჩვენოდ ვერ ძლებდნენ!
 ვითა ახლო მოყვარე.
 მერე ეგვიპტელებმა,
 ისე, როგორც ბერძნებმა,
 ცა და მიწა წაგვართვეს
 და “ღმერთებიც მოგვპარეს!”.

1986



პოლიტიკური სეული

სტუმრობდი მმინარი ათასწლეულებს,
მერე ანჯღრევდი და

აღვიძებდი...
და შენ კოლხეთით იყავ სნეული,
მანამდის,
სანამ სამარადისოდ
იგი, შენში არ განასხვეულე.

1976

60გე

გონისა და დუმილის ფრთით,
უფლის ცაში ფრენდა ნიცშე.
ხელთ ეჭირა მთვარის ხემი,
მნათობებმა მას რომ მისცეს:
— ასტრალური ძალისხმევით,
რომ დაეპყრო
დრო და სივრცე.

1988



ზღვისკარად მდგარ

ჩემს ძველ კოლხეთს –

ლეგენდებითა და ვარსკვლავებით

მოქროვილს,

ახსოვს ღალატი...

ამიტომ პირზე –

ადევს შავი ზღვის –

შავი ბოქლომი.

1998



შოორეული წარსულიდან –
 ვისმენ ზარებს აქ –
 სინას მთის!
 ალბათ ქალდეველნი იქნებიან...
 ვარსკვლავები –
 უფლის დაწერილი
 წიგნებია,
 საგსე სიბრძნით და სინათლით.

1992



ჩემს ქართულ მოებს –
ბუმბერაზებს,
მხრები მაღლა აუზიდავთ!
“ქართლის ჭირი” მათით მჭირდა.
სიბრძნის წყაროს ვსვამდი
მათი აუზიდან
და უდრმესი მშობლიური
კოლხურ ჭიდან.

1977



(ვარიანტი)

სიცოცხლეც,

სიკვდილიც,

ორივე მტვერია,

ერთი ჰყიდია მეორეს,

ვით ვაზი ხარდანს!

სიცოცხლე —

არაფერია,

სიკვდილისთვის მზადების გარდა.

1981



ოცი წელი მიიღია,
როგორც “ათასერთი დამქ”.
და ვით ფსევდო ლონგინე –
“სულის სიმაღლეს და
სითამამეს”,
დრო მალე შენთან მოილოგინებს.

1961



ისე, როგორც აფროდიტეს*,
 ზღვის ქაფისგან ნაშობ
 მგოსანს,
 მშობლიური ცა იფარავს,
 რომ ყოფნა არ დაიგმინოს,
 და... უმშვენებს კალხურ
 მარანს –
 “ძველი, დაწმენდილი ღვინო”. (ესაია).

2012

* აფროდიტე (ბერძ.) – სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი.



შენი სიბრძნის ვენახი,
ცად მიიწევს ლერწმებად,
სისპეტაკით ელვარებს!
ფიქრის თვალი ვერ წვდება –
შენს მოებსა და
მწვერვალებს.

1976



ქართველი ზღვაზე

წვიმა ცას თმას დაუვარცხნის
 და ელგა პი ღრუბლებს
 ბალახს –
 წამიერად გადათიბავს,
 მეხიც სადღაც დაიგმინებს.
 მერე ქარი ზღვის მინდორზე –
 დადგამს უცებ აურაცხელ
 ზვირთთა ზვინებს.

2008



ეჟეტ!

ჰეი!

ფაზისის თუ ევფრატის პირ,

მიმწუხრისას

ვიღაც ყიფის –

გვევი!

ჰეი!

– ძველ კოლხეთის ოქროს

წარსეულს,

მე გავაღებ, როგორც სეიფს!

1983



ჰავებსა და ფანარებს

სხვებმა არა, “ერთგულთა”,
გაუთხარეს სამარე!!!
მაგრამ მაინც მოვუხმობ
არაგვთან და
ენგურთან,
ჭანებსა და
წანარებს*.

1985

* წანარები მთიელები და არაგვის ხეობის “მცხოვრები იყვნენ”. ივ. ჯავახიშვილი.



მთები

მეცხრე ციდან ჩამოსულებს

მთებს –

შორეულ ჩემს წინაპრებს,

ცისკენ მიაქვთ მიწა სვენებ-სვენებით.

მიტომ ჩემო,

ბნელს მილამპრებს,

ჩემი დიდი საქართველოს –

ძველ-კოლხეთის ხსენება.


1987



გათხვება

მოგარის სიშორე შემწვანდა,
ძილი დაუფრთხა ფერს ცისას,
რომლისაც იყავ მქებელი,
და.. ეზრასავით შენც გწვავდა:
“ცვარი მშობელი ცეცხლისა”
და “შანთი შეუხებელი”.

1986



აღმოგაჩენ, ობიექტი ფროს

სამი ათასწლეულის
მერე, ოქროს გალავნიანს,
რძის და ღვინის შადრევნებით,
რომლის არ ჩანს ნასახი
(რადგან ჩემო!
უკვე დროა,)
აღმოგაჩენ, ოგორც ტროას,
აიეტის სასახლეს!

1990



მელქები და მალქები

აღმოსავლეთ —

დასავლით,

კოლხების და იბერთა —

მდუმარების ყინული,

უსათუოდ გალხება

და პპოვებენ სავანეს —

საქართველოს ლურჯი ცისქვეშ,

მელხებიც¹ და მალხებიც².

1979

1, 2 — კოლხები (ქართველური) ტომები.



რიონი რაჭაში

ზეირთებს, ვითარცა ათასწულეულებს,
ურა კვიცივით ჩამოაჭენებს,
მთებს – თეთრ ჩოხოსნებს
თვალს აარიდებს!
მზერას მოსატაცებს ვაჟპაც რაჭველებს
და დაამწუხერებს ლამაზ
ქარიტებს*.

1957

* ქარიტები (ბერძ.) – სილამაზისა და მხიარულების სამი ქალღმერთი.



ქალდეველებს და ძველ კოლხებს ეპუთვნით

პონტოს ზღვა კი არა,
აქ იყო ატლანტის
ოკეანე და ბრუნავდა
მორევი...
ათასჯერ მითქვამს და ვიმეორებ:
რომ ჩვენი ბიბლია —
იგივე “ეფუთი”,
ქალდეველებს და
ძველ კოლხებს ეპუთვნით.

1989



ქალდი

“... სინამდვილეში “ქალდი” საერთო-ქართული
სამყაროს – კოლხეთის ცენტრს, მის გულს ერქვა”...
ილია II-ე
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი “საშობაო
გაიხტოდგ” (2012, 8)

ათასწლეულების მერე...

მხელოდ

ქალდეველების
და კოლხების ნაშიერს
ძალუბს... და სხვას არავის,
რომ იპოვოს კოლხეთში,
“მაცხოვრის აკვანი”
და “აბრამის კარავი”.

2012



გავკასიონი – არფა

“თერგი რბის, თერგი ღრიალებს”...

სურს მძინარენი აყაროს,
რადგანაც მათ წინაპართა,
ბოროტება კვლავ

აბრაზებს!!!

... დრო მოვა მთელი სამყარო,
გიო ადრე,

ისევ დაუკრავს
კავკასიონის¹ არფაზე².

1976

¹ “კოლხეთი იყო კავკასიის ქედი სახელწოდება... რომელიც შეადგენს კაცობრიობის ბირთვს და ცენტრს, რომლის გარშემო ბრუნავს კაცობრიობის ისტორია”... ფრიდრიქ შლოსერი (გერმანია) (“მსოფლიოს ისტორია” ტომი 1, სანქტ-პეტერბურგი 1861, გვ. 2.)

² არფა (ლათ.) – სიმებიანი საკრავი.

სიცოცხლე იყო თავიდან
კენტი და ნათლითმოსილი,
მაგრამ სიკვდილმა სდია და,
(თითქოს და რაღაც ეწყინა!!!)
დღე გადუქცია წყვდიადად,
გზადაგზა –
თან შეეწყვილა.

1972



ქრისტე

საუკუნე –

საუკუნეს

მწევარივით ისევ მისდევს
და ნაგვალევს ასდის ალი:

– მათ იციან, რომ

კოლხეთში,

იშვა ქრისტე,

და არა იურუსალიმს!

2002



ეგერთა ქვეყანა

ზღვა უსმენს მაცხოვრის ნეოფიტს¹ –
ფრანცისკო ასიზიელს,
რომელიც მწიკვს აღარ იკარებს,
არცერთი წამით და ძუით;
ის უბნობს –
ისევ დგას ზღვისპარად,
“ეგერთა² ქვეყანა ფუთი³”.

1982

¹ ნეოფიტი – მოწაფე.

² “ეგერთა” – მეგრელთა.

³ ფუთი, პუდი (ფოთი) სამეგრელოს დედაქალაქი.

ონობშრისი

კოლხთა ხსოვნად ისეგ დგას
 ციხე-გოჯის კედლები...
 თუმც ტეხურის ზვირთებში
 ჩაქრნენ საუკუნენი...
 მაგრამ ონოგურისთან¹
 ხმა რეკს ხმალთა კვეთების –
 გამარჯვებულ კოლხების...
 დამარცხებულ ჰუნების.

1989

¹ ონოგურისი – ისტორიული ციხე-სიმაგრე დასვლეთ საქართველოში. (ონოგურისის პრძოლა 554 წ.)



როგორც მოცარტი და სალიერი

მწერით დაჭრილი და

სისხლდამშრალი

მზე

მიეფარა წალენჯიხას და დარჩელს¹,

ჩანს და არა ჩანს –

ცის და მიწის დასალიერი

და დღედაღამე ერთმანეთის

პირისპირ დარჩნენ,

როგორც მოცარტი

და სალიერი.

1959

¹ დარჩელი – სიფელი მთიან სამუგრელოში.



300 ტროელი და აქაველი

ბრძოლაა კვლავ შიბისთვის¹...

სრბოლა ათასწლეულთა

ადგილზე ვერ აქვავებს –

შერს –

ფშავთა და ხევსურთა,

ვით ტროელთ და აქაველთ.

1981

¹ შიბი – ოქროს ჯაჭვი.



ბახშა მებრელაშვილი

ლეგენდებით და მითებით,
სულ სხვა ჟინით და
აურით –
სარ პოეზიის ბეთლემი
და უფლის ჯვარის მტვირთველი –
გახუა მეგრელაური.

1977



ՀՅՈՒՅԹ¹

յուղետա “գուցո Վարսեպուհ” –
 մըլքրտա Ռուսեցագ մռեցցեցո,
 դա միուս Շվոլո միուտ եցցեծո
 յուզել ոյշու ալուոնե!
 “օմատ” յո ևյրտ դալուո
 լյույթ¹...
 դա դագազովյոն –
 թյենո ժցուո յուղետո!

2008

¹ լյույթ (ծերձ.) – տացճացովյույթուս մոխուսկացեմա մջոնարք,
 րոցորու մուս Վյալու Շյեցամքնյեն մուցալյեծուլուտա ևյ-
 լյույթ մաժոնառաց ազովյուցեծուատ Վարսեպուհ.



მგოსანი

საიდანდაც მოისმის

მნათთა ზარი ენ-ლილის¹,

“ყრმას” რომ ნათლიოთ

მოსავენ...

შენ ხარ ცით მოვლენილი –

სულიშმიდის და მამის

ხელდასხმული

გვისანი.

1999

¹ ენ-ლილი (ბერძ.) – ნაყოფიერების ღმერთი.



პოლენითი და აიღფი

უფალო! –

ძეგ ჰელიოსის,

შენა ხარ სასო და იმედი!

და შენზე მლოცველს –

ნულარ გამიწყრები!

– სურთ დამავიწყონ

კოლხეთი და აიეტი,

მაგრამ ვერაფრით მავიწყებენ.

1990



ღრუბლებმა ჩემი მზე –

გადამალეს,
დღეებიც გაფრინდნენ გედებად...
ოქენეს ნუ იდარდებო, ჩემნო!
გულისწყრომა დამალეთ!
სულ მალე იყივლებს მამალი,
და...
გაოენდება!

1985



სიცოცხლე... ჭამია მხოლოდ!

მოვალთ და...

ჩვენს წვას და წვალებას,
არ უჩანს თავი და ბოლო!
დღეებს – დამეები პგვიან...
და მერე...

ჩვენ ვიგებთ გვიან:
– სიცოცხლე წამია მხოლოდ!

1971



მე მოგვეც დაუსაბამო

სინას მთიდან კვლავ მოისმის
გალობა დილა-საღამოს:
“ჩუქისა სძალო მარიამ”,
ვლოცულობთ და გვიხარია:
“ყრმაი რა იშვა შენგან და
ქე მოგუეც, დაუსაბამო”. (მინჩხი.)

1985



0სეპ ლოდინი

ლოცვით ამაღლებულა
ჩემი სვეტიცხოველი
და მე ისიც მეყოფა,
რომ წუთი-წუთ
მოველი,
ნეფესა და დედოფალს.

1992




ნათელს დაშგადებელს

ცას ჭვრები კოსმოგონიის*,
თუმცა ირგვლივ წყვდიადი,
ქაოსი და მტკერია,
და იქ ეძებ ბიბლიურ
“ნათელს დაუდამებელს”,
ვით “უჟამო” ფერიას.

1985

* კოსმოგონია (ბერძ.) – სამყაროს წარმოშობა



უფალია სამყარო,
და ზე-ციდან დამ-ლამით,
ვარყვავების კი არა,
სისხლი ქონავს აბელის
და ჩამოდის ღიობით.
ისმის საუკუნეთა
ყეფის ხმა და
ღავლავი...
ისტორია ხსოვნაა —
ბნელი კაცობრიობის.

1974



სიახლოეს

უფლის ნათელით გადახურული

ცა —

წინაპართა —

ძველისძველი სამოსახლოა,

და მიგუყვები ფიქრთა მაღლობებს.

მოვარე, ახლოა,

და მზეც ახლოა,

და ვარსკვლავებიც ახლო სახლობენ.

1974



ქარეალი და ამორეველი

უღვთონი და ურჯულონი,
რჯულიანებს აშინებენ,
რომ ტალახში ამორევენ –
კოლხთ-იბერთა ნაშიერებს –
ქანაანელო და
ამორეველო.

1971



ხილვა: “სპინაშსარი” ანუ “მიმდებათა ცხოვრება”.

“... მეგრელებმა პირველ საუკუნეში
მიიღეს ქრისტიანობა”.

პროფ. მ. ჯანაშვილი

ჯვარზე უცემს ნაშიერი
და კოლხეთში გმინავს ქარი,
გულს რწმენისთვის იოსებს...
და ვჭვრებ: თავებს “სვინაქსართა” –
(პონტო ზღვაში მოტივტივები),
კოლხთ: მაქსიმებს,
თეოდოტებს,
და ლაზ-ისიქიონისის.

1977

800 ფასრ დოკუმენტი

სულიწმიდის ძებნაში

ეს სოფელი მოვლიე,

ვნახე ლოცვა-ვედრება

უფლის ღამის მთეველთა.

და... მეც, ვით ფასრ ოლივეს*,

გულგანგმირულს მნახავენ

ქრისტეს საკურთხეველთან.

1991

* ფასრ დოკუმენტი – ფრანგი პოეტი და ფილოსოფოსი (1768-1825).
(რაინჟრ მარია რილკეს წიგნიდან “წერილები”.)



გოლე-იბერის

ორი ათასწლეულია,
რომ არ უჩანს წუხეილს ბოლო,
მიწა კი დუმს –
ცოდვილთ სისხლით
პოხიერი.
შავი ზღვა კი შავს იცვამს და
ქრისტეს გლოვობს,
ვით სისხლს და ხორცს –
კოლხ-იბერის.

2001



ორვეოსი

მითები და ლეგენდები –

შოორეული კოლხური ცის
ლაჟვარდიდან ისევ ბარდნის,
და მზე შვენის მზით შემოსილს.

დღეს სამყაროს –

შენ ხარ ბარდი*,
ისე, როგორც ორფეოსი.

1971

* ბარდი (ცელტ.) – სახალხო მგოსან-მომღერალი.



ფაზისის აკადემია III-IV ს.ს

დრო იყო, როს ფაზისთან –

“საიდუმლო სერობის” –

ერთად ენთო ასი მზე.

და... ჟამს ინკარნაციის,

ქრისტეს ოწმენა კურნავდა,

ბრძენ ფრანცისკო ასიზელს.

1987



პოლიტიკი მზე

სამყაროს როს გაჰყურებ

შენ!

და ასე გგონია:

ცა – ბავშვია ნინველი,

რადგან ეგვიპტელების,

ინდუსის და ჩინელის,

წინმსწრებია კოლხური მზე და

კოსმოგონია.

1992



ბიბლია (დაბადება)

ცა და მიწა...

მზე და მთვარე...

მიმოყრილი ვარსკვლავები,
წყვდიადს ნათელს რომ ურთავს...

გვიჭირს ამის გამხელა:

რომ ბიბლია,

კოლხ-ქურუმთა

პგავს ნაღვაწს და ნახელავს!

1984



არშის ციხესიმან

ქარმა აყარა ღრუბლები,
 ცამ თოვლი კვლავ
 დაიუინა,
 თუმც მთებს ყინული ალხევება!
 წამს სნოდან მესმა
 ყიუინა,
 არშის ციხისმცველ მალხების*.

1985

* მალხები – კოლხური (ქართველური) ტომი.



გოლხეთი და კლარჯეთი...
და აღარ დირს კამათად:
რომ იქიდან რად ისმის –
ლოცვა...
და ხმალ-კვეთების
ხმა,
ოპიზელ მამათა.

1987



თუთა, თოთი

ძველ კოლხეთის ცაზე ყრია –
 ქამთასვლისგან ნაწამები
 სიტყვები, ვით ვარსკვლავები.
 და მთოვარე¹,
 თუთა²,
 თოთი³,
 ერთია და, ვით სამება –
 კოლხთა წარსულიდან მოდის.

1988

¹ მთოვარე – ძვ. ქართული

² თუთა – მემკული

³ თოთი – ეგვიპტური.



ცისკენ ჩანგშემართულები,
საღვთო მადლით და
ლოცვებით
გრძნობენ გონების განპრძნობას
და ესმით მნათთა თარეში...
აღარ არსებობს სხვა გრძნობა,
ამქვეყნად –
“ცოდნის გარეშე”.

1972



პგელ კოლხეთში მაგულვის

ზოგი ვაი “მკვლევარი”,
რკინას ოქროდ ასაღებს!!!
ადარა სურს ხსენება –
ფაზისის და ხობოსის,
ჭოროხის და ენგურის!
მე კი კაცობრიობის –
პირველი ენის გასაღებს –
სულ ძველ კოლხეთში დავეძებ,
რადგანაც ის –
იქ მეგულვის.

2005



გითარც ლაზი და პელაზბი

მოებიც ერთმანეთს მოსკლებათ,
თითქოს გზები კეტავენ
ძალით ათასი ატომის!
ასე მესხნი და მოსხები,
ამბობს ბერძენი ჰეკატე¹,
გითარც ლაზი და
პელაზგი,
არისო კოლხთა გვარ-ტომის.

1974

¹ ჰეკატე – (ძვ. წ. VI ს.)



(ვარიანტი)

სიცხე მაწუხებს ოცდაცხრამეტი,
 უცხო ლანდები თვალებს ახელენ
 და ვიღაც კიფის:
 ნუ კლავ “ვაშინერს!”
 მე კი ხანდისხან თუ ჩავახველებ,
 სიცოცხლეს არა,
 სიკვდილს ვაშინებ.

1980

¹ “ვაშინერს” (მეგრ.) – არ ჰეთლება, ტაბუ ადეპტები.



პოლებს, პერძნებს, ლათინებს

ამ ბედოვლათ სამყაროს,
გინც აღამებს,
ათენებს!
იმან სული პირველი –
შთაბერა და ჩაუდგა:
კოლხებს,
ბერძნებს,
ებებიპტელთ,
ინდო-ჩინელთ,
ლათინებს...

2010



(ვარიანტი)

ხალხის გულში, სიყვარული,
სინათლის ძეგლს მარად იგებ!
მიტომაა ცა მფარველობს –
შენი საღვთო სიყვარულის –
ნათლითმოსილ
პარადიგმებს*.

1977

* პარადიგმა (ბერძ.) – მაგალითი, ნიმუში.



ტროპარი

ღმერთს როცა ცეცხლი მოპარე,
მაშინ შენ მთვრალი იყავი,
ბრძენ კაც პლატონის –
“ნადიმით”.
სულთმოფენობის ტროპარით* –
ვით პოეზიის უფალმა,
სამყარო მოინადირე.

1986

* ტროპარი (ბერძ.) – საგალობელი წმინდანისადმი ადგლენილი.



ხილულით ჰვერეთ შხილავს

ვით მიწაზე,
ზეცაშიც,
ბოროტა და კეთილთა,
ბრძენთა და უმეცართა,
ომი მიდის ველური –
ხმა ჩამოდის ქუხილად.
შენ კი, როგორც მენცარი,
ხილულით ჭვრები –
უხილავს.

2005



ეველა უფლისმოსავი,
("ძველია" თუ "ახლები")
ვინც გრძნობს სულის სილაღეს,
ვით ღმერთს მიეახლება –
თვის სიმდაბლით...
სიმაღლეს.

1982



პოეზია

ცის მინდორზე –
მთიებივით,
ლოცვები და ხმები თესე...
თუმც მოსავალს ელი გვიან!
პოეზია იყო შენოვის
,ენაც,
რწმენაც,
რელიგიაც.

1981



სიკვდილთან ხარ ჭილნაყარი

ხელთ უპყრია შენი მაჯა
და ვერ გშეელის –
სიცოცხლე და,
ვერცა მუდარა და აჯა!
კედელს ცერცვი შეაყარე.
რადგან მოხვალ,
უნდა მოკვდე!
სიკვდილთან ხარ წილნაყარი.

1990



უსახელოს თვალი გვიმზერს
 და ბევრნი გვყავს –
 ხელმყოფელი!
 მაინც უნდა გავისარჯოთ,
 რადგან მუდამ –
 გვაწვდის სარჩოს,
 ცხოვრების ხე –
 “ხე ყოველი”. (შეს. 2, 16).

1972



0ბნ ალ არაბი

ძველი ქამი უქამო,
დავიწყების ცოცხებით
ხსოვნის ციდან
არ აღგვის –
სუფისტების უსტაბაშს
პოეტ –
იბნ ალ არაბის.

1989



რადგან ქამი ღვთისმგმობელთ,
 ღამისაკენ მიღენის,
 მზიან დღეთა ცოცხებით.
 ისმის მოთქმა,
 გედრება,
 მკვდრებისა და ცოცხლების.

1981



მთები, გილიკები

ცისკენ ლტოლვის სურვილი,
როს ბორცვებმა –
დედა-მიწას გაანდეს!
ო, მას მერე, ცაში არ გაეპაროს,
მიწა ტყორცნის მთას –
ბილიკთა ქამანდებს.

1995



შორეთიდან მომავალ
 სიყვარულის –
 დიდ უღელს,
 ჩვენმა დიდმა მგოსნებმა
 მზე და მთვარე შეუბეს
 და მას შემდეგ,
 ვით ყევარს –
 სოფლის გზაზე მოდენი,
 შენ ერთი ხარ მეუფე –
 “სიყვარულის ორდენის”.

1993



გშსტროფედონი¹

სანამ ქარი ღრუბლის ქოჩორს
ელვის თითოთ დავარცხნიდა,
ცამ იქუხა...
და მთოვარის ჩანს უფსკრული.
წვიმა კი ცრის –
ხან მარჯვნიდან,
ხან მარცხნიდან,
თითქოს და წერს:
კრეტულ-ხეთურ-ესტრუკულით.

1981

¹ ბუსტროფედონი (ბერძ.) – წერის წელი.



გრავიტაცია

ჩემს ძველ კოლხეთს,
 რომელსაც,
 დელვა ათასწლეულთა,
 ტანზე ჩოხად აცვია,
 “შაგს ხვრელს” იქით,
 სამყაროს –
 ელის გრავიტაცია¹.

1990

¹ გრავიტაცია (ლათ. სიმძიმე) – მატერიის თვისება, რაც გამოიხატება სხეულთა ურთიერთმიზიდულობით, მსოფლიო მიზიდულობით.



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
ორგულები	25
ალბატროსის და ფლამინგოს	26
შვიდი, შვიდფერი აურა	27
მგ ზავრობა ასტრალური	28
გალაქტიკა – დოლაბი	29
*** ისმის მგროსნის ჩურჩული:	30
შავი არაგვი	31
*** პოეტებს მეცხრე ცის თაღზე	32
*** უსაზღვრო და უსამანო	33
*** ზღვა ქარიშხლითაა მაძღარი	34
პოეზია	35
ხილვა: გალაქტიკის გარე სამყარო	36
ოკეანე და ტეთიდა	37
შატილ ში	38
*** აღსდექ!	39
ისევ ბაბილონის გოდოლი	40
ხილვა: დემოკრიტე	41
ენგური	42
სილიადე ეხნატონის	43

სული წინაპრის.....	44
შენ ხარ სამყარო.....	45
*** პა, “კოლხური ფსალმუნები!”	46
ვიდ დოლოროსა	47
*** მისთვის	48
გარსკვლავები.....	49
ხილვა: სიმონ კვირინელი	50
ოკეანე და კირპე.....	51
წიწამური და კრწანისი	52
მეტაგალაქტიკური.....	53
*** ფიქრი ორიენტალისტთა.....	54
*** მთათა საფეხურებით მაგალს.....	55
ბერთის სახარება	56
ძეო ადამის.....	57
*** ზღვიდან ამოდის ღრუბელი	58
*** შთაგონების არწივმა.....	59
ისევ ლოდინი	60
ასი მზე	61
ხილვა: ნაბუქოდონოსორი.....	62
N-ს	63
იერუსალიმში	64
ელვა.....	65
პომილიები	66

ხილვა: რობაიები და სონეტები	67
ცოტნე დადიანის ძეგლი.....	68
60 000 000	69
ალგორითმები.....	70
აპოთეოზი	71
*** შენი წიგნი დევოთა დიდი.....	72
ნისლეული ანდრომედას	73
*** მწუხერის ქვაბში მზე	74
*** ცეცხლითა ვარ	75
კოლხ-ეგერ-ქასქები.....	76
ცეფეუსი VV"2	77
*** მძიმე ჯვარს კვლავ	78
ფსალმუნთ წიგნი.....	79
ხილვა: აქილევსი და.....	80
მზე და მთვარე	81
ისევ კოლხეთი	82
ჩე გოლა	83
სამოთხე, ჯოჯოხეთი.....	84
*** სამარადისოდ ბნელი	85
ბედის წიგნი.....	86
ჩე გოლა, მთაწმინდა	87
მყინვარი	88
უცხო მატერიები	89

თეთრი საფლავი.....	90
*** მოვალთ ტირილში.....	91
გრაალის ერთგული რაინდი.....	92
ორი იოანე.....	93
პირველი მერცხალი	94
ლტოლვა	95
*** განთიადის ფეხისხმას.....	96
ხსოვნის პარადიგმები	97
სამება.....	98
*** კოლხ ხალიბთა მოდგმა.....	99
*** ზღვა კოშკია გრაალის	100
*** სხვაა სიბრძნე ფარული	101
*** მეცხრე ციდან მოსული	102
შამბალა და ჩე გოლა.....	103
*** ყოფნა რაა!	104
*** ფრთას შეასხამს.....	105
დანიელი, ესაია, ზაქარია.....	106
*** ათასეულ წლის მერე.....	107
*** შენოვის სიბრძნის	108
პტოლომესეული.....	109
წიგნი.....	110
*** აღუგლენდა უფალს	111
*** ბრძენი იდუმალების	112

*** მნათთა სისხლით	113
კოლხეთი	114
ოცდაათტომეული	115
*** ვარსკვლავების ოქროს	116
*** პელიონის ნაშიერი	117
ძეო ადამის	118
წარწერა ლოდზე	119
*** შოორეული ხმა გესმოდა	120
*** მნათთა სასახლეებს	121
ორი ველი	122
*** თურმე ძნელი ყოფილა	123
*** “კოლხურ ფსალმუნებს”	124
*** კიდიოთ-კიდე ეყარა	125
*** თუ ისურვა	126
ჩე გოლდა და ანდები	127
ასტროფალი	128
მზე ქალდეური	129
ზიესუდრა და ადამკადმოსი	130
ხათების და ხეთების	131
მამულო ჩემო	132
*** “ტანკა”	133
ევაგრეს და ორიგენს	134
მარტყოფის და მარაბდის	135

ნუ გაოცდები.....	136
ფრთები ძალმოსილების.....	137
სიხარული.....	138
პომეროსი.....	139
“ფიქრები”.....	140
ქარიტები.....	141
მარადისობა.....	142
მეცამეტე ცა.....	143
ნათელი	144
*** გითვალთვალებს შორიდან	145
ხილვა: აქილევსი და პარისი.....	146
სოდომი და გომორა.....	147
ჩემი გზა.....	148
შიში.....	149
შროშასთან	150
საკუთარი ცა.....	151
*** იხარშება ეშმას სული.....	152
*** მწუხრი გადაიქროლა.....	153
*** ვხედავ:	154
ქრისტეს ნათლული	155
*** ამქვეყნიურ სამოთხეში.....	156
მეორე სახარება	157
*** დათოვლილი თმით და	158

*** მთვარის მწვანე	159
*** დამე თეთრად ნათევი	160
*** ქარი პკიოდა აშარი	161
*** ქარიშხელის კარეტით	162
*** რადგან უფლის	163
დამე მთაში	164
აპა, წიგნი “ფსალმუნების”	165
ხილვა: ორი ნათელი	166
მამა, ძე და სულიწმინდა	167
*** პოეზიის წარლენაა და...	168
ფიქრთა წიგნები	169
*** დამის შავი ოკეანე	170
ისე, ვით გილგამეში	171
ბალი	172
ისევ მოლოდინი	173
ქურდები	174
კოლხეთით სხეული	175
ნიცშე	176
*** ზღვისკარად მდგარ	177
*** შოორეული წარსულიდან	178
*** ჩემს ქართულ მთებს	179
*** სიცოცხლეც	180
*** ოცი წელი მიიღია	181


*** ისე, როგორც აფროდიტეს.....	182
*** შენი სიბრძნის ვენახი	183
ქარიშხალი ზღვაზე.....	184
ეპე! ჰე!.....	185
ჭანებსა და წანარებს.....	186
მთები	187
გათენება	188
აღმოვაჩენ, როგორც ტროას.....	189
მელხები და მალხები.....	190
რიონი რაჭაში	191
ქალდეველებს და ძველ	192
ქალდი.....	193
კავკასიონი – არფა	194
*** სიცოცხლე იყო თავიდან	195
ქრისტე	196
ეგერთა ქვეყანა.....	197
ონოგურისი	198
როგორც მოცარტი და	199
ვით ტროელთ და აქაველთ	200
გახუა მეგრელაური	201
ლეონ	202
მგოსანი.....	203
კოლხეთი და აიეტი	204

*** ღრუბლებმა ჩემი მზე.....	205
სიცოცხლე... წამია მხოლოდ!.....	206
ისევ ლოდინი.....	207
ნათელს დაუბადებელს	208
*** უფალია სამყარო	209
სიახლოვე.....	210
ძე მოგვეც დაუსაბამო.....	211
ქანაანელთ და ამორეველთ	212
ხილვა: “სვინაქსარი” ანუ.....	213
ვით ფაბრ დ’ოლივეს.....	214
კოლხ-იბერის.....	215
ორფეოსი.....	216
ფაზისის აკადემია III-IV	217
კოლხური მზე	218
ბიბლია (დაბადება)	219
არშის ციხესთან.....	220
*** კოლხეთი და კლარჯეთი.....	221
თუთა, თოთი.....	222
*** ცისკენ ჩანგშემართულები	223
ძეელ კოლხეთში მეგულვის.....	224
ვითარც ლაზი და პელაზგი.....	225
*** სიცხე მაწუხებს	226
კოლხებს, ბერძნებს, ლათინებს	227

*** ხალხის გულში, სიყვარული	228
ტროპარი	229
ხილულით ჭვრებ უხილავს	230
*** ყველა უფლისმოსავი	231
პოეზია	232
სიკვდილთან ხარ წილნაყარი	233
*** უსახელოს თვალი გვიმზერს	234
იბნ ალ არაბი	235
*** რადგან ჟამი	236
მთები, ბილიქები	237
*** შორეთიდან მომავალ	238
ბუსტროფედონი	239
გრავიტაცია	240

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

"Հայոց բնության զետեօւումին" 100-թվականու համապատասխան համար 2111321015, սեպտեմբերի 1-ի թույլատ, պատճենահանձնությունը կատարվել է Հայաստանի Հանրապետությունում՝ Արևոտ Հայաստանու քաղաքում գտնվող Հայոց բնության զետեօւումին մասնակիության շնորհած հայոց բնության զետեօւումին համապատասխան թիւ 143020 համարում:



2020 թ.

გაზა ებრისელი

პოლჩური ფსალმუნები

100 ფორად
ფორმი 51

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 51

- | | |
|----------------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის | – პაატა ღოლგაია |
| რედაქტორი | – საართავ ცინცაძე |
| მხატვარი | – ირაგლი უშვერიძე |
| მხატვრული რედაქტორი | – ნანა ღუბგაძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – გივა აგშილავა |
| კორექტორი | – ნანა ღა ღათო ყალბერიძევაი |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | |
| გამომცემელი – მათე ღოლგაია | |

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტეკნიკური №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com